# საერთო გაზეთი

№40 (451) • 1 ნოემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## დავით გაგნიძე: საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე დგას



„გულწრფელად ვუსამძიმრებ ნუცუბიძის პლატოზე გარდაცვლილი ახალგაზრდის ოჯახს, მაგრამ ამ ტრაგედიით არავინ უნდა ისპეკულიანტოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამდენი ლანძღვით და აბსოლუტურად უცოდინარ არამკითხეთა კონტროლით, რაღაც ძალებს სურთ იმპოტენტად აქციონ ოპერატიული სამსახურები“.



## ლალი მოროშკინა: ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ – მშვიდობას თუ პალესტინა-ისრაელის დაუსრულებელი ომის გზას!



## დემურ გიორხელიძე: სისულელეა, არავითარი მცურავი კურსი არ არსებობს! ეს არის აფიორა, რითაც ვილაცები ჰაერისგან მილიონებს აკეთებენ

## მამა ბასილი: ჩემთან მოდიან სინოდის წევრები და მეუბნებიან, რომ ვარ ბედნიერი, რადგან არა ვარ მათთან ერთად ცოდვის ჭაობში...







## ფერი ფერსა, ანუ მითხარი ვინ არის შენი ნათესავი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!

## იქ, მეორე ნაპირზე



„ერთი ოცნება მაქვს: როდის დადგება ის დრო, როცა ჩინელები და ინდოელები კი არა, თურქები და არაბები კი არა, უცხოეთში დღეს მოღვაწე მდიდარი ქართველები დაიძრებიან საქართველოსკენ, რომ დახლზე გასაყიდად გამოტანილი სამშობლო უცხოს და გადამთიელს არ დაუთმონ“...

## არმაგედონის მოლოდინში



## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე დგას



**გულწრფელად ვუსამძიმრებ ნუცუბიძის ქუჩაზე გარდაცვლილი ახალგაზრდის ოჯახს, მაგრამ ამ ტრაგედიით არავინ უნდა ისპეკულიანტოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამდენი ლანძღვით და აბსოლუტურად უცოდინარ არამკითხეთა კონტროლით, რაღაც ძალებს სურთ იმპოტენტად აქციონ ოპერატიული სამსახურები.**

***საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე დგას. პოლიტიკურად ბოლომდე შეუმდგარ ქვეყნებში, რომელთა ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია, ყველა ქვეყნის დამნაშავეთა სამყარო ცდილობს სათანადო ადგილი დაიმკვიდრონ. ამ ე.წ. შეუმდგარ ქვეყნებში იგულისხმება პოსტსაბჭოთა სივრცის რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც, — აცხადებს პროფესიონალი სამართალდამცავი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.***



მსოფლიოს დიდი ხანია მაფიოზური სტრუქტურები მართავენ, რაც განსაკუთრებით აშკარად 21-ე საუკუნეში გამოჩნდა. მაფია, მოგეხსენებათ, იტალიური სიტყვაა და ორგანიზებულ დანაშაულობებს ნიშნავს, რომელმაც გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან, უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე, მსოფლიოს ერთი მაფიოზური სტრუქტურა მართავდა, რომელსაც „ბრიტანული ლომი" ერქვა. აშშ-ის დიდი ეკონომიკური კრიზისის შემდეგ (1929–32 წწ), რომელიც დიდი დეპრესიის სახელითაცაა ცნობილი, მსოფლიო მაფიოზის „დაფნის გვირგვინი" აშშ-ს გადაეცა. ამ „საქმიდან" დიდი ბრიტანეთის გამორიცხვა მაინც არ შეიძლება, რადგან ყველაფერი ნისლიან ალბიონზე განთავსებული სიონისტური ცენტრიდან იმართება. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან რუსეთის იმპერია, უფრო სწორად საბჭოთა კავშირი კარდინალურად შეიცვალა, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი მნიშვნელოვანი აღმასვლა და მეორე მსოფლიო მაფიოზური ცენტრის შექმნა.

სიონისტებმა აშკარად დაინახეს როგორ იზრდებოდა საბჭოთა მაფიის გავლენა, ამით შეშფოთებულმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა 1947 წელს, ფულტონში თავის ისტორიულ გამოსვლაში დასაბამი მისცა „ცივ ომს". აღსანიშნავია, რომ „ცივი ომი" ანგლოსაქსებსა და სლავებს შორის დაპირისპირებას კი არა, სიონისტების მიერ სტალინიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულ „საღვთო ომს" წარმოადგენდა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირმა დიდი ბრიტანეთის წაბაძვით, ნარკოტიკებით არალეგალური მასობრივი ვაჭრობა დაიწყო, ჯერ ავღანეთიდან, ხოლო შემდეგ „ოქროს სამკუთხედიდან" (ბირმა, ლაოსი, ვიეტნამი), მოგებული ფულის მსხვილ ბანკებში განთავსების საკითხმა, დასავლურ სპეცსამსახურებთან მჭიდრო ურთიერთობამდე მიიყვანა. სწორედ ამ პროცესმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლა.

სხვათა შორის, კრიმინალური სამყაროს მართვას ყოველთვის ცდილობდნენ ქვეყნების პირველი პირები, ხანდახან წარმატებითაც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა მართლაც გენიალური ადამიანი, ადვოკატი ჰელმუტ შტიბერი, გერმანული სპეცსამსახურების ფუძემდებელი, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია ამ კუთხით. შტიბერის თეორიის მიხედვით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში „კანონიერი ქურდის" ორდენი, ამერიკელი განგსტერების მაფიოზური დაჯგუფებები, იაპონური „იაკუძა", ჩინური „ტრიადა" და სხვა დანაშაულებრივი დაჯგუფებები. სწორედ მათი მეშვეობით ახდენდნენ ხელისუფლებები ხალხის დამორჩილებას და დაკაბალებას. დროთა განმავლობაში შტიბერის თეორიამ რასაკვირველია, მოდერნიზაცია განიცადა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, მეტასტაზებივით მოედო მსოფლიოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვითონ სახელმწიფოები გახდნენ კრიმინალურები. ამის მაგალითები უამრავია უახლეს ისტორიაშიც და წარსულშიც. „მშრალი კანონი" ავიღოთ, რომელიც აშშ-ში 1919–1932 წლებში მოქმედებდა. ხელსუფლებამ იცოდა, რომ ამ კანონის შემოღება კრიმინალების ფინანსურ მომძლავრებას და სამართალდამცავი სტრუქტურების კორუმპირებულობას გამოიწვევდა, მაგრამ მაინც მიიღეს. 80-იანი წლებში, მიხეილ გორბაჩოვმაც მიიღო „მშრალი კანონი", რომლის შემოღება სტალინმაც კი ვერ გაბედა, რადგან იცოდა, რომ წამგებიანი იქნებოდა ქვეყნისთვის. გორბაჩოვის „ნოვაციამ" მართლაც უდიდესი ზარალი მიაყენა საბჭოთა კავშირს, ისევე, როგორც თავის დროზე ამერიკას. საბოლოო ჯამში, ამერიკაში დიდი ეკონომიკური კრიზისი დადგა, საბჭოთა კავშირი კი დაიშალა. თუ პოსტსაბჭოთა კრიმინალურმა სამყარომ კაპიტალისტური ქვეყნების ზეგავლენით განიცადა ცვლილება, თავის მხრივ კაპიტალისტური სამყაროს კრიმინალურმა სფერომაც განიცადა ცვლილება პოსტსაბჭოთა სივრცის გამოისობით. იქ „კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი არ არის, მაგრამ ჩამოყალიბდნენ ე.წ. კარგი ბიჭები, რომლებსაც სერიოზული ავტორიტეტი გააჩნიათ და სიტყვაც ეთქმით.

**— ბატონო დავით, ამ ფონზე რა პოზიცია უკავია საქართველოს?**

— როგორც გითხარით, ჯერ კიდევ შეუმდგარ ქვეყნებში ყველა ქვეყნის კრიმინალი ცდილობს ადგილის დაკავებას, რადგან, როგორც კი აქ სიტუაცია დალაგდება, მერე ძალიან ძნელია საკუთარი „ნიშის" დამკვიდრება. უცხოტომელები ცდილობენ თავიანთი ე.ე. გეტოების შექმნას, დამცავი ბარიერების გაძლიერებას, საქართველოს მოქალაქეებთან ფაქტიურ თუ ფიქტიურ ქორწინებაში შესვლას, გარეგნულად დადებითი იმიჯის შექმნას, ეკონომიკურად მომძლავრებას. მათ მატერიალური სახსრები არ აკლიათ, უძრავი ქონების შესყიდვას ეკონომიკური ობიექტების შექმნას ვგულისხმობ. ამ ობიექტებში დასასაქმებლად საკუთარი ქვეყნებიდან ჩამოყავთ მუშახელი, რომლებიც სულ ერთად ცხოვრობენ და კაცმა არ იცის ამ „გეტოების" შიგნით რა ხდება. რა კატეგორიის ხალხის „იმპორტს" ეწევიან, რა ზნეობისა და მორალის მატარებელი ხალხია ეს ერთი შეხედვით უწყინარი მუშახელი ვინმემ იცის? რამდენიც არ უნდა აგზავნოს მოთხოვნები ჩვენმა შს სამინისტრომ და უსაფრთხოების სამსახურმა „ექსპორტიორ" ქვეყნებში, რომ მოგვაწოდონ ინფორმაცია, აზრი არ აქვს, რადგან არცერთი ქვეყნის სპეცსამსახური არ გვეტყვის სიმართლეს თავიანთ ჩამოყვანილ ხალხზე. ამ მიგრანტებმა უნიღბოდაც რომ ჩაიდინონ დანაშაული, მაინც ვერ მოვძებნით, განა იმიტომ, რომ ადგილობრივ ხსენებულ სტრუქტურებს ეს არ უნდათ, უბრალოდ, ურთულესია უცხოტომელ კრიმინალთა ვინაობისა და ადგილსამყოფელის დადგენა. ზუსტად ასეთი „გეტოებია" შექმნილი აჭარაში, კახეთში, თბილისი ხომ მთლიანად წალეკეს. ჩინელები თუ „გეტოებში" ცხოვრობენ, თურქებს, აფრიკელებს, პაკისტანელებს, ინდოელებს თუ სხვა მიგრანტებს სახლები აქვთ ნაქირავები და ჯგუფებად ცხოვრობენ. სანამ საქართველო სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებან, მიგრანტები საკმაოდ მომძლავრდებიან და მათი გაკონტროლების შესაძლებლობას ადვილად აღარ მოგვცემენ. თავის დროზე, ადგილობრივი კრიმინალები, რომლებიც მჭიდრო კავ-

4 გვ. →



„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# იქ, მეორე ნაპირზე...

**ერთი ოცნება მაქვს: როდის დადგება ის დრო, როცა ჩინელები და ინდოელები კი არა, თურქები და არაბები კი არა, უცხოეთში დღეს მოღვაწე მდიდარი ქართველები დაიძრებიან საქართველოსკენ, რომ დახლზე გასაყიდად გამოტანილი სამშობლო უცხოს და გადამთიელს არ დაუთმონ...**



გასულ წელს, სრულიად მოულოდნელად, დიასპორის სამინისტრო გაუქმდა. როგორც ამბობენ, ხელისუფლება სამინისტროების სერიოზულ რეორგანიზაციას და რეფორმირებას აპირებდა და დიასპორის სამინისტროსთან ერთად რამდენიმე სხვა სამინისტროს გაუქმებაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ამ სხვა სამინისტროებმა მთავრობის გადაწყვეტილებას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და თავი გადაირჩინეს, თუმცა ამასობაში დიასპორის სამინისტრო უკვე გაუქმებული იყო.

ასე შეეწირა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და უმნიშვნელოვანესი სამინისტრო რეორგანიზაციის მცდელობას, რომელიც ისე დამთავრდა, რომ არც დაწყებულა.

იმ დროს, როცა სხვადასხვა გარემოებათა გამო, მილიონნახევარი (შეიძლება მეტიც) ქართველი უცხოეთშია გადახვეწილი და ეს რიცხვი კი არ იკლებს, მატულობს, საზოგადოების მიერ დიასპორის სამინისტროს გაუქმება სრულ გაუგებრობად და ანაქრონიზმად იქნა აღქმული.

სამშობლოს მოწყვეტილი ქართველებისთვის დიასპირის სამინისტროს არსებობა ერთგვარი იმედის კუნძულივით იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ისე მოულოდნელად ჩაიძირა, რომ ჩაძირვის მიზეზებიც კი არავის აუხსნია ამ კუნძულს იმედის თვალით მიჩერებული მილიონობით ადამიანისთვის.

არადა, დიასპორის სამინისტრომ, იმ უკიდურესად მწირი დაფინანსების პირობებშიც კი, ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო, თუმცა ვერ მოასწრო იმ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, რომლებიც ფრიად მომგებიანი იქნებოდა, როგორც საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეებისთვის, ასევე, ზოგადად, ქართული სახელმწიფოსთვის.

მწირ დაფინანსებას რომ ვამბობ, იმას ვგულისხმობ, რომ საქართველოს დიასპორის სამინისტროს წლიური ბიუჯეტი სულ რაღაც 1 მილიონ ლარს შეადგენდა, ეს იმ დროს, როცა ჩვენი მეზობლები, სომხები და აზერბაიჯანელები, ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავენ თავიანთი სამინისტროების ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირებისთვის, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ თავიანთ დიასპორებთან ნორმალური ურთიერთობა და მჭიდრო კავშირების შენარჩუნება შეძლონ.

ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებიან თითოეულ ადამიანს, რომელიც გენეტიკურად დაკავშირებულია მათ ეროვნულ ფესვებთან — ეძებენ, პატრონობენ, განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობიან, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტულ ამ ადამიანებს შეუნარჩუნონ „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი".

რას ვაკეთებთ ამ დროს ჩვენ, ქართველები?




რას ვაკეთებთ და დიასპორის სამინისტროს ვაუქმებთ!

უპასუხოდ რჩება პოეტის ცრემლნარევი შეკითხვა: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი".

საქართველო არ ეძებს თავის დაკარგულ შვილებს.

დედას, რომელსაც თავისი შვილები უპატრონოდ ჰყავს მიგდებული, დედობას ჩამოართმევენ ხოლმე.

ენა როგორ მომიტრიალდება იმის სათქმელად, ქართული სახელმწიფო იმის ღირსია, რომ დედობა ჩამოართვან-მეთქი, თუმცა ის მილიონნახევარი ქართველი რომ მახსენდება, დედამ რომ დაივიწყა, ეს მკრეხელური აზრი კვლავ ამოტივტივდება ხოლმე და საკუთარ თავზე ვბრაზდები.

●

საქართველო ინვესტიციების შიმშილს განიცდის და ინვესტორების ძებნაში ხან ჩინელებს მიადგება, ხან არაბებს, ხან – თურქებს, ხან – ირანელებს, ხან – ინდოელებს, მაგრამ, ფაქტობრივად, არ ახსენდება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ძალა — რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები.

შეიძლება ამის მთავარი მიზეზი ის იყოს, რომ ეს ადამიანები „ოკუპანტი" სახელმწიფოს, რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და იქ ეწევიან ბიზნესსაქმიანობას, ეს კი პროდასავლურად და იმავე დროს პატრიოტულად განწყობილ ქართველთა (ასე უწოდებენ ისინი საკუთარ თავს), ერთი ნაწილისთვის მიუღებელია.

არ ვიცი, ვინ დაგვაჯერა და ვინ დაგვარწმუნა, რომ ოკუპანტად შერაცხულ ქვეყანას არ უნდა დაველაპარაკოთ, ხმა არ უნდა გავცეთ, მასთან პირდაპირ დიალოგში არ უნდა შევიდეთ და თუ რომელიმე ქართველი, ვინც ამ აკრძალვას არ დაექვემდებარება, ერის მოღალატედ გამოვაცხადოთ.

აი, ეს არის ის გარედან ნაკარნახევი მთავარი იდეოლოგიური ხაზი, რომელსაც საქართველო ბრმად და მორჩილად მიჰყვება, აგერ უკვე 25 წელიწადია, თუმცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით, რისთვისაც კეთდება თურმე ეს ყველაფერი, ერთი ნაბიჯით არ წავწეულვართ წინ.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე სახელმწიფოთა შორის უამრავი ომი მომხდარა და ყველა ეს ომი, საბოლოო ჯამში, დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებებით, პირდაპირი დიალოგით და შეთანხმებით მთავრდებოდა.

გამონაკლისი რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი დაპირისპირება აღმოჩნდა, სადაც ერთი მხარე, საქართველო, უარს ამბობს პირისპირ დაელაპარაკოს მეორე მხარეს, რითაც, ფაქტობრივად, უარს ამბობს იმ ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებსაც დღეს მეორე მხარე აკონტროლებს.

ეს ელემენტარული ლოგიკაა და, ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ერის მოღალატეები ისინი კი არ არიან, რომლებიც რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებებისკენ მოგვიწოდებენ, არამედ ფრიად საეჭვოდ გამოიყურებიან ისინი, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამ მოლაპარაკებას და რუსეთ-საქართველოს შორის ისეთი კედლის აღმართვას ცდილობენ, რომ ერთმანეთს ხმა საერთოდ ვერ მივაწვდინოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთს და სამაჩაბლოს სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ.

(იქნებ უკვე დამშვიდობებული ვართ და არასამთავრობოების, ე.წ. ექსპერტების, ე.წ. პოლიტიკოსების თუ ჟურნალისტურ-ლიტერატურული „შპანის" მიერ ატეხილი ფსევდოპატრიოტული ქაქანი და კაკანი რეალური სურათის შესაფუთად და მისაჩქმალად გვჭირდება?)

აი, ასეთი სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში და რა გასაკვირია, თუ საქართველო იმ 700 000 ქართველისკენ არც კი იხედება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო დღეს რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

კი, მაგრამ, რამდენი 700 000 ვართ ჩვენ, ამ 700 000 ქართველს არხეინად რომ შევაქციეთ ზურგი?

რუსეთთან თუ გვაქვს პრეტენზიები, გვქონდეს, მაგრამ იმ 700 000 ქართველს რას ვერჩით და რას ვემართლებით, რომლებსაც არანაირი დანაშაული არ მიუძღვით სამშობლოს წინაშე.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ქართველი ემიგრანტების მიერ ყველაზე დიდი თანხა რუსეთიდან იგზავნება.

ისინი საქართველოში ათასობით და ათიათასობით ქართულ ოჯახს არჩენენ რუსეთში ტანჯვით და წვალებით ნაშოვნი ფულით და იმის ნაცვლად, რომ ეს ადამიანები ხანდახან მაინც გავამხნევოთ და თბილი სიტყვა ვუთხრათ, ქართული სახელმწიფო საერთოდ არ იხედება მათკენ — თითქოს ისინი არც არსებობენ.

არა მგონია, ჩვენი სურვილით და ჩვენი ნებით ვაკეთებდეთ იმას, რასაც ვაკეთებთ — როგორც ჩანს, ვიღაცები გვაძალებენ და გვაიძულებენ, ასე მოვიქცეთ.

თუ ეს ასეა, მაშინ იმ ვიღაცების მიერ ის საქართველოც ოკუპირებული ყოფილა, რომელიც ჩვენ თავისუფალი და დამოუკიდებელი გვგონია...

●

როგორც მოგახსენეთ, რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობა დღევანდელ საქართველოში დიდ ცოდვად ითვლება.

**სულ ახლახან, აგვისტოს თვეში, საქართველოს ხელისუფლება კინაღამ ჯვარს აცვეს — როგორ გაბედეთ და რუსეთს დახმარება როგორ სთხოვეთო?**

**არადა, ნახევარი საქარ-**

4 გვ.



# „საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე დგას“



2 გვ.

შირში იყვნენ საბჭოთა სივრცის კრიმინალებთან, საქართველოდან გავყარეთ, თავსაც ვიწონებდით, ჩვენს ქვეყანაში კრიმინალური ავტორიტეტები აღარ არსებობენო. ამ კეკლუცობაში უმთავრესი გამოგვრჩა, მათი ადგილების დასაკავებლად გააფთრებული ფარული ბრძოლა მიდის, რომელიც ჩვენდა საბედნიეროდ ამ ეტაპზე უსისხლოა, მაგრამ ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ეს პროცესი ჩვენც გადმოგვწვდება. ჩინელი, ინდოელი, პაკისტანელი, თურქი, აფრიკელი, ვიეტნამელი და სხვა ქვეყნების კრიმინალები თავიანთი ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით ყოველდღიურად ცდილობენ თავიანთი პოზიციების გამყარებას, რათა საქართველოს მომავლის გარკვევის შემდეგ, მყარად იდგნენ ფეხზე. დარწმუნებული ვარ, მათ სათანადო ლობებიც ყავთ ადგილობრივ ოფიციოზში. უცხოტომელების პოზიციები სულ უფრო მყარდება, რადგან საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც საკმაოდ საეჭვო წყაროებიდან ფინანსდებიან, ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენს ისედაც იმიჯშელახულ და უმეტესწილად არაპროფესიონალებით დაკომპლექტებულ სამართალდამცავი სტრუქტურების ოპერატიულ სამსახურებს ბოლომდე გაუტეხონ სახელი. ეს ვითომდა უფლებადამცველები, გვერდით დადგომის მაგივრად, პოლიციის და უსაფრთხოების სამსახურის დისკრედიტაციას ეწევიან, რაშიც გამონაკლისების გარდა, აქტიურად არის ჩართული მედიაც. ყველაზე გასაოცარი ის არის, ეს ყველაფერი იმ ფონზე ხდება, როცა მთელი მსოფლიო კრიმინალურ ქაოსშია გახვეული. დასავლეთის ქვეყნებში არ ხდება კრიმინალი, პოლიციელი არ კლავს იქ მოქალაქეს, ან თვითონ ეს მოქალაქე უდანაშაულო ხალხს, ან მოსწავლეები არ ხოცავენ ერთმანეთს? მაგრამ ჩვენსავით ისტერიკებს არ იწვევს იქ ეს დანაშაულობები. სენსაციებს მოწყურებული ქართველი ჟურნალისტებიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ შეიძლება სამოქალაქო სექტორი და მედიასაშუალებები ვერ ხვდებიან ამ აჟიოტაჟით ქვეყნის უსაფრთხოებას რომ უთხრიან ძირსო. ძალიან კარგად ხვდებიან, მაგრამ მსუყე გრანტების გამო, ყველაფერს კადრულობენ.

კრიმინალის და კრიმინალებთან ურთიერთობის პრობლემა ამ ეტაპზე ვერცერთმა ქვეყანამ სათანადოდ ვერ მოაგვარა. შეიძლება ვინმე შემედავოს, როგორ არა, აგერ ნახეთ ევროპაო. ევროპაში არ არის უმაღლეს დონეზე განვითარებული ნორვეგია, სადაც ერთმა იდიოტმა ათეულობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა, პოლიციელს კი იარაღი არ ჰქონდა რომ შეეჩერებინა. საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, ინგლისი ტერორისტულმა აქტებმა წალეკა, აგერ ჩვენს მეზობელ თურქეთში რა საზარელი დანაშაულობები ხდება. ნებსით თუ უნებლიედ რატომ ვანადგურებთ სახელმწიფოს დაცვის ბურჯს, რასაც შსს და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის სამსახური ჰქვია? ადრეც გითხარით და გავიმეორებ, „აბრეშუმის გზა“ მრავალ ხიფათთან და კრიმინალთან არის დაკავშირებული, მრავალი ქვეყნის სპეცსამსახური შეეცდება საქართველოში დამკვიდრებას და ქვეყნის ქაოსში ჩათრევას, თუ მათ სასარგებლოდ არ წარიმართა მოვლენები. დავანებოთ თავი ჩვენი სამართალდამცავი სისტემის ლანძღვას, მივცეთ პოლიციას ნორმალურად მუშაობის საშუალება, რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, მით უმეტეს, რომ გამოუცდელობის და უცოდინარობის გამო, ოპერატიულ საქმიანობაში ამდენი ხარვეზი გააჩნიათ. გულწრფელად ვუსამძიმრებ ნუცუბიძის ქუჩაზე გარდაცვლილი ახალგაზრდის ოჯახს, მაგრამ ამ ტრაგედიით არავინ უნდა ისპეკულანტოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამდენი ლანძღვით და აბსოლუტურად უცოდინარ არამკითხეთა კონტროლით, რაღაც ძალებს სურთ იმპოტენტად აქციონ ოპერატიული სამსახურები. იმიტომაც არ იხსნება ძველი დანაშაულობები, რადგან პოლიციელებს უკვე ყველაფრის ეშინიათ. პატრულებს რომ ადანაშაულებენ, რატომ მაშინვე არ გამოიძახეს „სასწრაფო დახმარებაო“, ჩემს პრაქტიკაშიც ყოფილა უამრავი შემთხვევა, როცა დაკავებულები პოლიციელებს ატყუებდნენ. ამიტომ, მე იმ პატრულს ხელაღებით ვერ დავადანაშაულებ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, მაშინ ახალი დაწყებული მქონდა მილიციაში მუშაობა და არ ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა დაკავებულისთვის მინის ჭიქის მიცემა, რადგან შეიძლება გატეხოს და ან თვითდაზიანება მიიყენოს, ან ოპერთანამშრომელი დააზიანოს. დაკავებულს კარგად ვიცნობდი, მთხოვა წყალი დამალევინეო, არავისთვის მიკითხავს, ისე მივაწოდე მინის ჭიქით წყალი, მან უცებ გატეხა ჭიქა და ნამტვრევი ვენაზე დაიდო, თუ არ გამიშვებთ, გადავიჭრიო. ყველას შეგვეშინდა, მერე შემოვიდა გამოცდილი ოპერთანამშრომელი, დაკავებულს ნაგვის „ვედრო“ მიაწოდა, მიდი, გაავსე შენი სისხლითო, ესეც მაშინვე დაშოშმინდა, გიჟი კი არ ვარ, რატომ უნდა გადავიჭრაო. ოპერატიულ სამსახურში მუშაობის დიდი სტაჟი მაქვს, მაგრამ შეიძლება უცებ მეც არ დამეჯერებინა ახალგაზრდა კაცის ცუდად გახდომა. ხშირი იყო შემთხვევა დაკავებული მოიგონებდა ცუდად ყოფნას, მოვა ექიმი, რომელმაც შეიძლება თქვას, ზომები უნდა მივიღოთ, საავადმყოფოში გადავიყვანოთო. წაიყვანენ ტყუილად საავადმყოფოში და დამთავრდება მერე ის საქმე. რა გამოდის, მავანს ჩადენილი დანაშაული უნდა ეპატიოს, ამ დროს დაზარალებულს რას ვეუბნებით, მისი უფლებები არ ირღვევა? ყველაზე უკეთესი გამოსავალი ის არის, რომ საქმე იქამდე არ მივიყვანოთ, რომ პატრულის გამოძახება გახდეს საჭირო.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# იქ, მეორე ნაპირზე...

3 გვ.

**თველო იწვოდა, მაგრამ ამ ვაიპატრიოტებს ერჩივნათ, ნახევარი საქართველო დამწვარიყო და გადაბუგულიყო, ოღონდ რუსეთისკენ არ გაგვეხედა.**

ასე „უყვართ“ მათ საქართველო, ოღონდ საქართველოზე მეტად ის ფული იყვართ, რომელსაც მათ საქართველოსადმი ამგვარი სადომაზოხისტური „სიყვარულის“ გამო უხდიან.

თითქოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვართ, ესენი კი ზედამხედველებივით გვადგანან თავზე და საკმარისია, საავადმყოფოს შიდა განაწესით დადგენილი ტექსტიდან ოდნავ გადაუხვიოს ვიღაცამ, იმწამსვე სვავებივით დააცხრებიან თავზე, რომ ენა ამოგლიჯონ, ზურგზე კი მოღალატის „ბირკა“ მიაკრან.

არ ვიცი, რა ჰქვია ყოველივე ამას და არც ის ვიცი, სადამდე შეიძლება ამ შიზოიდურ-პარანოიკულ სიტუაციას ქვეყანამ გაუძლოს.

ცოდვათა ჩამონათვალში ერთ-ერთ მთავარ ცოდვად ქართველის მიერ რუსეთში ფულის შოვნა ითვლება.

ასე, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილი ლამის არის, ცოცხლად შეჭამონ — მაგან ფული რუსეთში იშოვაო.

რა თქმა უნდა, იმაზე არაფერს ამბობენ, რუსეთში ნაშოვნი ფულის დიდი ნაწილი ამ კაცმა საქართველოს რომ მოახმარა.

რუსეთში მრავლად არიან წარმატებული ქართველი ბიზნესმენები, მილიონერები, მილიარდერები, რომლებსაც შეუძლიათ ძალიან დიდი სიკეთე გაუკეთონ საქართველოს, თუმცა საქართველო მათ არ უხმობს — ხომ შეიძლება რუსეთში ნაშოვნ და საქართველოში შემოტანილ ამ მილიონებს რუსული ინტერესები შემოჰყვეს თან.

ეს შიში სრულიად უსაფუძვლოდ და ალოგიკურად გეჩვენება, მით უმეტეს, მაშინ, როცა იცი, რომ საქართველოში საკუთრივ რუსეთს ძალზე სერიოზული ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტები უჭირავს ხელში და რაღაც მიზნების განსახორციელებლად ქართველებით დაკომპლექტებული ეკონომიკური „დესანტის“ გამოყენება არაფერში სჭირდება.

ორმაგი სტანდარტი, ორმაგი მიდგომა — ერთის მხრივ, ცხოველი ინტერესი რუსული ბაზრისადმი და, ზოგადად, რუსული კაპიტალისადმი, მეორეს მხრივ, ანტირუსული განწყობის მიზანმიმართული, დაჟინებული დეკლარირება, ერთის მხრივ — აბაშიძე-კარასინის ფორმატი და მეორეს მხრივ, ანტირუსული განცხადებები, თავისთავად ქმნის იმ ატმოსფეროს რუსეთში, რომელიც იქ მოღვაწე ქართველებს, თუნდაც ბიზნესის კუთხით, ბევრ დაბრკოლებებს უქმნის.

ალბათ, ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ქართველებმა, რომლებიც პირველები იყვნენ ბიზნესის სფეროში, თანდათან დათმეს (თუ დაათმობინეს...) პოზიციები.

ჩვენ უკვე გაგვისწრეს ოსებმა, აფხაზებმა, ადიღეელებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა, შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

არაფერს ვამბობთ სომხებზე და აზერბაიჯანელებზე, რომლებიც რუსეთის ბიზნესელიტაში წამყვან პოზიციებს იკავებენ.

როგორი სამწუხაროა, რომ ჩვენი არაპრაგმატული პოლიტიკით ჩვენ თვითონ ვუფუჭებთ საქმეებს უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, რაც შემდეგში ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან.

●

„შეიძლება უცხოეთშიც იყო წარმატებული და დაფასებული ადამიანი, მაგრამ სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ შენს სამშობლოში შეიძლება გახდე“.

ეს სიტყვები ცხონებულ ფრიდონ თოდუას ეკუთვნის, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში, მაგრამ ბოლოს ყველაფრით უზრუნველყოფილი ყოფა დათმო და სამშობლოში დაბრუნდა.

სრულყოფილებას რომ თავი დავანებოთ, ადამიანი ბედნიერი მხოლოდ საკუთარ სამშობლოში შეიძლება იყოს.

საქართველოს გარეთ გასული ქართველები ამ ჭეშმარიტებას განსაკუთრებული ტკივილით და სიმძაფრით გრძნობენ ხოლმე.

ნუ ჩავუკეტავთ სამშობლოსკენ მომავალ გზას ამ ადამიანებს, რადგან ყველა გზა, რომლებზეც ბედმა ეს ადამიანები ატარა, საბოლოოდ მაინც სამშობლოსკენ მომავალ გზაზე გამოდის...

●

ერთი ოცნება მაქვს: როდის დადგება ის დრო, როცა ჩინელები და ინდოელები კი არა, თურქები და არაბები კი არა, დღეს უცხოეთში მოღვაწე მდიდარი ქართველები დაიძრებიან საქართველოსკენ, რომ დახლზე გასაყიდად გამოტანილი სამშობლო უცხოს და გადამთიელს არ დაუთმონ...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# სისულელეა, არავითარი მცურავი კურსი არ არსებობს! – ეს არის აფიორა, რითაც ვიღაც-ვიღაცები ჰაერისგან მილიონებს აკეთებენ

**გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე:**

**— ბატონო დემურ, არჩევნების მერე ლარი მკვეთრად გაუფასურდა. „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტმა განაცხადა რომ ეს ნორმალურია, კურსი მცურავია და ლარი ხან გამყარდება, ხან გაუფასურდება. მოდით, ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ და გვითხარით, რეალურად რა ხდება.**

— „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტის განცხადებები, დააზლოებით, სანაგვეზე გადაგდებულ უსაშველო ნეოლიბერალურ ეკონომიკურ შეხედულებებს ჰგავს, რამაც უდიდესი მსოფლიო კრიზისი გამოიწვია. ეს არ არის პროფესიონალის განცხადება, არამედ საკმაოდ არასერიოზულია იმიტომ, რომ „ეროვნულ ბანკს“ წესით, უნდა ჰქონდეს ერთი დიდი ამოცანა, რომელიც მაკრო-ეკონომიკის საერთო პოლიტიკაში ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას შეუწყობს ხელს. სამწუხაროდ, ეს პრიორიტეტები მას არ გააჩნია. იგი, თითქოს, ინფლაციის დასაშვებ დონეზე და მის შეჩერებაზეა ორიენტირებული, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოდის



— ყველა ძირითად საქონელზე ფასები ინტენსიურად იზრდება, ნახეთ, რა ხდება წამლებთან, საწვავთან და ა.შ. დაკავშირებით. ამიტომ, ეს განცხადება ძალიან საშიშია. ამ ნეოლიბერალური შეხედულებებით აშკარაა, რომ „ეროვნული ბანკი“ თავის საქმეს არ აკეთებს და კომერციული ბანკების ცრუ მომსახურე რეჟიმზეა გადასული, რაც ლარის კურსსაც ეტყობა და საქართველოს ეკონომიკასაც.

**— ლარის გაცურვა-გამოცურვაში, მავანი, ალბათ, დიდ ფულს აკეთებს თუ რას ემსახურება ეს პოლიტიკა?**

— არ შეიძლება ლარი თავის ჭკუაზე ცურავდეს. სახელმწიფო წესით იმიტომ არსებობს, რომ უზრუნველყოს მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდა საკუთარი შრომის საფუძველზე. სახელმწიფო დონეზე ასეთი პოლიტიკა, უპასუხისმგებლობა, ადამიანებს განვითარებისკენ მავალ გზას საერთოდ უკეტავს. მსგავსი რამ ევროპის, აზიის წამყვან ქვეყნებში, აშშ-ში რომ მოხდეს, უზარმაზარი ეკონომიკები დაინგრევა. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ეკონომიკური გათვლა, პროგნოზი, რაც საქართველოზე ძალიან მძიმედ აისახება. რა გვიკვირს — მილიონნახევარი მოსახლე ქვეყნიდან არის გასული, მიგრაციის მაღალი ტემპია, შარშანდელთან შედარებით, ქვეყნის მოსახლეობა, თითქმის, 20 ათასზე მეტით შემცირდა და ეს ტენდენცია გაგრძელდება, მიზერული ეკონომიკაა. 4–5%-იანი ზრდა თუ იქნა, ესეც მიზერია და ბევრს ვერაფერს გადაწყვეტს — ვერც სიღარიბის პრობლემას მოაგვარებს, ვერც დასაქმებისას. ამიტომ, სურათი საკმაოდ მძიმეა. შემიძლია გითხრათ, რომ „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტის ეს განცხადება ქვეყნის მდგომარეობას ძალიან მძიმედ ახასიათებს. მე, ამ ქვეყნიდან არსად გავრბივარ, თითოეულ ჩემს სიტყვაზე პასუხ ვაგებ — ის, რაც გუშინ „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტმა განაცხადა არის განუვითარებლობის გარანტი და სამწუხაროდ, მთლიანობაში, ხელისუფლება არის იმის გარანტი, რომ მის ერთ-ერთ ძალიან მძლავრ და მნიშვნელოვან შტოს შეუძლია ასეთი განცხადებების გაკეთება, რასაც თითქმის, მთელი ხელისუფლება იზიარებს. დასკვნა მკითხველისთვის მიმინდვია.

— თავის ნებაზე ვერსად, ვერაფერი ვერ იცურებს იმიტომ, რომ ყველაფერი სახელმწიფო პოლიტიკაზეა დაფუძნებული. თავისუფალი ეკონომიკა არ ნიშნავს სისულელეების კეთებას. სწორად გაგებული ლიბერალური ეკონომიკა ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ არა ის უტოპიური და მითოლოგიაზე აგებული ეკონომიკა, რომელზეც „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები საუბრობენ. ასე არსად არ ხდება საქართველოს გარდა.

**— რა როლი მიუძღვის ამ პროცესებში სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს?**

— არავის, არაფერი როლი არ აქვს, ტყუილად ნუ ვაბრალებთ დასავლეთს ჩვენს წარუმატებლობას. 25 წელი გავიდა და სახეზეა კვლავ პოლიტიკური პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმის დეფიციტი, პოლიტიკური ჯგუფების უამბიციობა იმისთვის, რომ ქვეყანა განვითარების სტრატეგიაზე გაიყვანონ. ამიტომ, არის ეს პოსტსაბჭოური ქვეყნის სინდრომი. ხელისუფლებაში მოდის ვიღაც ბელადის მატარებელში შემხტარი ხალხი, თავის საქმეებს აგვარებს რაც შეიძლება მალე იმიტომ, რომ იცის ის პროფესიონალი არ არის და მისი მომავალი, პოლიტიკაში, ნულოვანია. ამიტომ, რაკი ბედმა გაუღიმა და გრუზინული ოცნება აზდა — იგი სარფიან თანამდებობაზე მოხვდა, იმას აკეთებს, რასაც უკვე წლებია ვხედავთ.

სხვას ნურაფერს ნუ ვაბრალებთ, ეს არის ქვეყანაში პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის დეფიციტი. ჩვენ საზოგადოებას, ახალგაზრდებს ვატყუებთ, თითქოს, ისინი ეკონომისტები და ფინანსისტები არიან. არავითარი ეკონომისტები და ფინანსისტები საქართველოში არ მზადდება, ვერცერთი მათგანი საუკეთესო და მაღალი დონის უნივერსიტეტებში ვერ გაივლიან. აქ, ისწავლება შესავალი კურსები, რაც არ არის პროფესიონალიზმი.



**— ბატონო დემურ, როგორც ცნობილია, სავალუტო ფონდმა ბევრი ქვეყანა გაკოტრების პირას მიიყვანა.**

— ეს ყველაფერი არის არასწორი წარმოდგენები. არ შეიძლება სავალუტო ფონდის მტრად აღქმა. კიდევ ვიმეორებ, ჩვენი უბედურება არ შეიძლება სავალუტო ფონდსა და რუსეთს მოვკიდოთ კისერზე. ჩვენ, ჩვენი უბედურება გვჭირს და არ გვინდა საკუთარ თავს გავუმხილოთ რატომ ვართ ასეთ მდგომარეობაში, რატომ არის მდიდარი ქვეყანა უსაშველოდ, სამარცხვინოდ ღარიბი და არ გვინდა მივხვდეთ რა არის ამის რეალური მიზეზი.

ხელოვნურად არავინ გაგაკოტრებს, არავინ „გაგაფუჭებს“. ქართველები საკუთარ თავს კარგა ხანია თავად იფუჭებენ.

**— ახლახან, სავალუტო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში იმყოფებოდა და ჩვენი მთავრობა შეაქო. რაში აისახება ეკონომიკის ზრდა მაშინ, როცა მოსახლეობა ღატაკდება?**

— კარგია თუ არა მთავრობა, ხელისუფლება, ამას ერთადერთი შემფასებელი ჰყავს — არა სავალუტო ფონდი, არამედ საქართველოს მოქალაქეები. თუ ჩვენ ორიოდე დღის წინ დასრულებულ არჩევნებს შევხედავთ ქართველი ხალხი საკუთარი ხელისუფლებით კმაყოფილია. რაკი ასეთი შედეგია, ქართველი ხალხი ძირითადად, ხელისუფლების კმაყოფილია. ამიტომ, სავალუტო ფონდი აქ არაფერ შუაშია. ანუ, მოგვწონს ის მდგომარეობა რომელშიც ვართ, სხვა ახსნა ამას არ აქვს.

**— კარგით. მოდით ისევ „ეროვნულ ბანკს“ და კომერციულ ბანკებს დავუბრუნდეთ. „ეროვნული ბანკი“ ზედამხედველობს უწევს კომერციულ ბანკებს, მაგრამ მიკრო-საფინანსო, საკრედიტო ორგანიზაციებს პატრონი არ ჰყავთ.**

— მთლად უკონტროლოდ არ არიან, მაგრამ საქმე ისაა, რომ რეგულაცია არასაკმარისია. უკანონოდ არაფერი არ არის შექმნილი, ერთადერთი ონლაინ-კომპანიებში იყო საკანონმდებლო ხარვეზები, მაგრამ თვითონ პოლიტიკა არის მცდარი და ვიღებთ იმას, რომ მახინჯმა ფინანსურმა სისტემამ, რაც ხელისუფლებებმა ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამოაყალიბეს, ეკონომიკის ყველაზე დიდი დამამუხრუჭებელი ძალის ფუნქცია შეიძინა. ზღაპარს ჰყვება ვინც ამბობს, რომ ეკონომიკა განვითარდება. ამ მახინჯ ფინანსურ სისტემაში ვერაფერი განვითარდება. მთლიანობაში ყველაფერი ხელისუფლების ხელშია. როგორ განვითარდნენ სხვა ქვეყნები? — არსებობს ბრწყინვალე გამოცდიელბა, შესანიშნავი მონოგრაფიები თუ რატომ განვითარდნენ რიგი ქვეყნები და არ განვითარდნენ სხვები. მე, ეს ყველაფერი კარგად ვიცი, ბევრი დრო დავკარგე, რომ ამაში გავრკვეულიყავი. ჯერჯერობით, საქართველოში არაფერი კეთდება ისეთი, რაც გაკეთდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში — დასავლეთი იქნება ეს თუ აზია.

კომერციული ბანკები დროებითი ლიკვიდურობის აღმოსაფხვრელად, „ეროვნული ბანკიდან“ ათდღიან სესხებს იღებენ, თუმცა, სესხად გაცილებით მეტს იღებენ. „ეროვნული ბანკი“ ამას ყურადღებას არ აქცევს, ვიდრე მათ ეს დროებითი ლიკვიდურობის დაკარგვის შესავსებად სჭირდებათ. აქაც, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება. სად მიდის ზედმეტი ფული, რომელსაც ბანკი ათი დღით საკმაოდ დაბალი პროცენტით იღებს? ცხადია, მომენტალურად სავალუტო ბირჟაზე ხდება ვალუტის შეძენა, ათი დღის მერე შეთამაშდება კურსი და არაფრისგან, ჰაერისგან ადამიანები ძალიან დიდ ფულს შოულობენ. ამიტომ, შემთხვევით არაფერი ხდება.

**— ბატონო დემურ, წეღან ახსენეთ, ზღაპარია ვინც ყვება, რომ ეკონომიკა განვითარდებაო. თუ ხელისუფლება არ ზრუნავს, ხომ შეიძლება შეიკრიბონ გარკვეული სპეციალისტების ჯგუფი, ვინც ქვეყნის ეკონომიკურ კონცეფციას შეიმუშავებს?**

— ეს საქართველოა, აქ, ქართველები ცხოვრობენ, მათ ასეთი ამბიცია არ აქვთ — შეიკრიბონ თვითორგანიზაციის გზით და სერიოზული, ამბიციური პროექტები განახორციელონ. ქართველები იმად რჩებიან, რაც საუკუნეების მანძილზე იყვნენ — ისინი გათითოკაცებული რაღაც ფორმით ცდილობენ ამ სიტუაციას მოერგონ და ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ. თუ აკრიტიკებენ მას ისიც იმიტომ, რომ გარკვეულად ყურადღება მიიქციონ. ასე არაერთმა მათგანმა ასე თუ ისე თავიანთი სიტუაცია გაიუმჯობესა. ასეთ ნაბიჯებს მხოლოდ შინაგანად თავისუფალი ადამიანები დგამენ. ვცდილობ, ამ პროცესს სტიმულები მივცე, არ ვარ უმოძრაოდ. ვფიქრობ, საქართველოში თანდათანობით მოხდება იმ ათასობით ადამიანის თვითორგანიზაცია, რომელიც საკუთარი ქვეყნის მომავალზე ძალიან მყარ შეხედულებებს ჩამოაყალიბებს და ის ძალა იქნება, რომელიც ეცდება ეს ყველაფერი რეალიზდეს, რათა ჩვენ ღირსეული, ფანტასტიური ქვეყანა გვქონდეს. სხვის ხელს შემყურე ადამიანებს თვითორგანიზაციის უნარი არ აქვთ, ეს შეუძლია მხოლოდ თავისუფალ, ღია საზოგადოებაში მყოფ თავისუფალ ადამიანებს.




**— ბატონო დემურ, კომერციულ ბანკებს გასულ წელთან შედარებით დიდი მოგება ჰქონდათ. რის ხარჯზე?**

— დიახ, ეს ყველაფერი ოფიციალური მონაცემებია. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც საბანკო მოგებები ასეთი ფანტასტიკური მასშტაბით იზრდებოდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## ლალი მოროშკინა:

# ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ – მშვიდობას თუ პალესტინა-ისრაელის დაუსრულებელი ომის გზას!

**რუსულ ტელეარხებზე ლალი მოროშკინას გამოჩენას ქართულ საზოგადოებაში ყოველთვის არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვება. ზოგისთვის ყოფილი სახელმწიფო მოხელეს რუსეთში ვიზიტები და რუსულ ტელევიზიებში გამოჩენა ქვეყნის მტრობაა, ზოგისთვის კი დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნების გეგმის ნაწილი. „მე ევროპული ქვეყნიდან ვარ და მივეჩვიე, რომ ქალებს უსმენენ“ – ასე გააჩუმა ლალი მოროშკინამ ოპონენტი რუსეთის პირველ არხზე გამართულ გადაცემაში, სადაც მიხეილ სააკაშვილს მოღალატე უწოდა: „ამ ადამიანმა საქართველოს უღალატა. მან უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. ცხრა წლის მანძილზე ის ნამდვილ ბოროტებას წარმოადგენდა“ – განაცხადა ლალი მოროშკინამ.**



**რა აზრი აქვს ჩრდილოელ მეზობელთან დიალოგს „მცოცავი ანექსიის“ პირობებში და რის მიღწევას ცდილობს რუსულ ტელევიზიებში აქტიურობით? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ ლალი მოროშკინა ესაუბრა:**

– თავიდან რუსეთის ტელევიზიებში გამოჩენისგან თავს ვიკავებდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ძალიან დიდი ტრიბუნის გამოყენების შანსი მქონდა, რომელიც რუსეთის გარდა, უკრაინას, ევროპას და ამერიკას მოიცავს. მივხვდი, რომ, ამ ტრიბუნიდან შემიძლია ვთქვა, თუ რა ხდება საქართველოში, როგორ უნდა მოხდეს ქვეყნებს შორის ნორმალური კონტაქტების აღდგენა და ა.შ. რუსი საზოგადოება არაერთგვაროვანია. მისი უდიდესი ნაწილი მზადაა საქართველოსთან მოლაპარაკებებისთვის და ახლა მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტია, თუ სახელმწიფოს მხრიდან, ვინ ჩაერთვება ამ მოლაპარაკებებში.

**– ოვაციები რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, მარტო ეს არ კმარა..**

– თითქმის ათწლიანი პაუზის შემდეგ, რუსეთში ჩავდივარ როგორც ექსპერტი და პოლიტოლოგი და „პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტს თუ არ ჩავთვლით, სრულიად მარტო ვარ. ვისაც ნაციონალების ფარსში მონაწილეობა და თავის დაბრმავება უნდა, დაიბრმავოს, მე კი ჩემს საქმეს ვაკეთებ. მინდა ვაჩვენო რუსეთს, რომ საქართველო მზად არის, დაიწყოს მოლაპარაკება ტერიტორიების დასაბრუნებლად. პირველ რიგში, 2008 წლამდე სტატუს კვოზე ანუ კოდორზე და ახალგორზეა საუბარი. თუ არავინ ჩავიდა და ამ თემებზე საუბარი არ დაიწყო, თავისით ვის და რა დაუბრუნებია? არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში საარჩევნო წელი მოდის და საპრეზიდენტო არჩევნებში ქსენია სობჩაკიც მიიღებს მონაწილეობას.

**– ამით რისი თქმა გსურთ?**

– ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ახლებურ ხედვაზე და ახლებურ სახელმწიფო წყობაზე გადადის და ვფიქრობ, მხოლოდ დაკარგულ ტერიტორიებზე საუბრის კი არა, სერიოზული ურთიერთობების დალაგების შანსი გვექნება.

**– თქვენი და „პატრიოტთა ალიანსის“ მოსკოვში ვიზიტებმა „მცოცავი ანექსია“ ვერ შეაჩერა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთს საუბრის გარდა, სხვა რაღაცას ელის ჩვენგან..**

– რაღაც სხვას ნამდვილად ელის. რუსეთი სახელმწიფო დონეზე ურთიერთობას ელის და არა ოპოზიციურ პარტიებთან და ცალკეულ ელემენტებთან. ვიმეორებ, მე ერთგვარი ხიდი ვარ ორ მთავრობას შორის, დანარჩენი უკვე საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია, თუ ვის გააგზავნიან სამთავრობო სტრუქტურებიდან რუსეთში, რომ ტერიტორიების დაბრუნებაზე საუბარი დავიწყოთ. გერმანიამ ებრაელები გაანადგურა, მაგრამ ომის შემდეგ, ამ ერებმა მშვიდობაზე საუბარი შეძლეს და მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ. დღეს ისრაელი თავის ახალგაზრდებს გერმანიაში სასწავლებლად აგზავნის. ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ – ევროპულ გზას თუ პალესტინა-ისრაელის დაუსრულებელი ომის გზას და მთელი ცხოვრება ომში ვიქნებით..



**– თქვენი აზრით, მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში, იქნება თუ არა რუსების მოთხოვნებს შორის, დასავლურ ორიენტირებზე და ევრო-ატლანტიკურ კურსზე უარი თქმა?**

– არა, ზუსტად ვიცი, რომ არ იქნება. ეს მოსაზრება ნაციონალების არასწორი პროპაგანდის შედეგია და სხვა არაფერი. თურქეთი რუსეთის პარტნიორია, ამ აქვეყანაში დიდი ბიზნეს-ინტერესები აქვს, ერდოღანი ხშირად ჩადის მოსკოვში და მისთვის ნატოდან გამოსვლა არავის უთხოვია და ჩვენ რატომ მოგვთხოვენ?

**– მაშინ რა არის ამ მოლაპარაკებებში რუსების ინტერესი? რას ელიან?**

– ელიან იმას, რომ აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, რისი არა ერთი მოთხოვნა იყო. მეზობელთან ურთიერთობის გაფუჭება მხოლოდ იდიოტს შეიძლება უნდოდეს. წარმოიდგინეთ, საომარი მდგომარეობის მიუხედავად, რუსეთს უკრაინასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და საქართველოსთან, სადაც ომი დამთავრდა, არა. რუსეთს ჭირდება პარტნიორი ქვეყნები, ჭირდება საქართველოდან იაფი პროდუქტი, იაფი მუშახელი და ამაზე არის მოთხოვნა.

**– ბევრს ეგონა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მთავარ დაბრკოლებას სააკაშვილის ფაქტორი წარმოადგენდა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის უთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდოდა. მოხდა თუ არა ასე და თუ არა, რატომ?**

– ძალიან კარგად მახსოვს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პუტინმა ქართული მხარე მოსკოვში მიიპატიჟა. ამას მოჰყვა კინკლაობა, მარგველაშვილი უნდა წასულიყო თუ ღარიბაშვილი, რადგან პრემიერმა და პრეზიდენტმა ვერ გაიყვეს რომელს რომელი რანგის შეხვედრებზე უნდა ევლო. თუ გახსოვთ, ეს იყო ძალიან სერიოზული დაპირისპირება, რაც იმით დამთავრდა, რომ პროცესები დროში გაიწელა და შემდეგ ყველაფერი ჩაწყნარდა. დღეს, როდესაც სარკოზით დაწყებული, მაკრონით დამთავრებული, ძველი და ახალი პრეზიდენტები ერთმანეთს ასწრებენ პუტინთან მოლაპარაკებებზე ჩასვლას, „სირაქლემას პოზიცია“ კარგს არაფერს მოგვიტანს. კულტურულ დონეზე, რუსეთთან პრობლემა მოგვარებულია, მაგრამ ტაშ-ფანდურის გარდა, აუცილებელია, რომ ტერიტორიების დაბრუნებაზე და მცოცავ ანექსიაზე დავიწყოთ საუბარი.

**– საუბრის დროს თქვით, რომ კულტურულ დონეზე, რუსეთთან პრობლემა მოგვარებულია. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რა იგულისხმეთ?**

– ვიგულისხმე, რომ ცნობილი მომღერლები, კახუჩელადან და ნინო ჩხეიძიდან დაწყებული და მგზავრებით დამთავრებული, რომლებიც თავიდან ძალიან აპროტესტებდნენ რუსეთში ვიზიტებს, დღეს რუსეთში ძალიან მაღალ სცენებზე დგანან. „მგზავრები“ უკვე რუსეთში პოპულარული ჯგუფია და კახუჩელა უამრავ რუსულ გადაცემაში მონაწილეობს. რეალურად, ამჟამად რუსეთში იმდენი ქართველი მოღვაწეობს, რამდენიც მგონი, საქართველოში აღარ დარჩა და მათი უმეტესობა სწორედ ნაციონალური მოძრაობის აპოლოგეტი გახლავთ. მე ადრეც ვთქვი, რომ ესაა ქვეყანა, სადაც სოფო შევარდნაძე წამყვანია, სადაც ქართველი რეჟისორები რეზო გიგინეიშვილი და სხვები არაჩვეულებრივ ფილმებს იღებენ, სადაც ანშლაგებით იმართება ქართული კონცერტები, იხსნება ქართული რესტორნები და მიდის ქართული პროპაგანდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება თუ არ ჩაერთო მოლაპარაკებებში, მით უმეტეს, რომ რუსეთის მხრიდან ამის სურვილი არის, მაშინ საერთოდ ყველაფერზე უნდა ვთქვათ უარი. უარი ვთქვათ რუსეთიდან ფულის გზავნილებზე და ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მიხედვით, რუსეთი პირველ ადგილზეა. ნუ შემოვუშვებთ რუს ტურისტებს, რომლებიც ჩვენთან შემოსული ტურისტების თითქმის 80% შეადგენენ, უარი ვთქვათ მილიონ 200 000 ქართველზე, რომელიც იქ ცხოვრობს, დავიბრმავოთ და დავიყრუოთ თავები და გავაგრძელოთ ცხოვრება, რომელიც დაკარგულ ტერიტორიებთან არ და ვერ მიგვიყვანს. არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია და რაც უფრო სწრაფად, მით უკეთესია.

ნელი თორდია
571 35 36 88



## მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ჩემთან მოდიან სინოდის წევრები და მეუბნებიან, რომ ვარ ბედნიერი, რადგან არა ვარ მათთან ერთად ცოდვის ჭაობში...

ინტერვიუ გლდანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილი მკალავიშვილთან.

**— მამა ბასილ, რას გერჩით „გენერალი" თათუხაშვილი, აგენტად რატომ მოგნათათ?**

—სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

დასაწყისისთვის გეტყვით, რომ ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ, ვინ იყო და ვინ არის გოგი თათუხაშვილი და რა მაქინაციებით გახდა გენერალი. ეს საქართველოს მოღალატე, ახლა საზღვარგარეთ აფარებს თავს, რათა საქართველოში სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრან ჩადენილ დანაშაულობათა გამო. ერთ გაზეთში წავიკითხე მისი ნაბოდვარი, რომელიც ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს.

მივმართავ მას: თათუხაშვილო, ქრონოლოგიურად რომ გვიყვებით თქვენ „სახელოვან" საქმეებს და მშვიდობის დესპანად



გოგი თათუხაშვილი

წარმოგვიდგებით, მეც ქრონოლოგიურად მოგაგებთ სამაგიეროს თქვენი ნაჯღაბნისთვის. აღნიშნავთ, რომ მორჩილი იყავით, სტიქაროსანი. ნუთუ თქვენმა მოძღვარმა ცოტა მაინც არ გასწავლათ ეკლესიური წესი და კანონები, გაგერკვიათ, რისთვის განვუდექი საპატრიარქოს. როცა ჩინ-მედლებით გაჯილდოებდნენ შავბნელ საქმეთა გამო, მე ციხიდან გამოსული წელებზე ფეხებს ვიდგამდი, მრავალჯერ ნაოპერაციევი მუხლჩაუხრელად ვშრომობდი და სულიერ კერას ვქმნიდი.

ეს უგუნური ეკლესიას შენობას უწოდებს, არადა, ეს კანონიკური, გრანდიოზული ტაძარია, ღვთის ნებით აგებული და არა გაურკვეველი თანხით (როგორც ამბობს), წვალებით, მრევლის შემოწირულობები თ. ყოველი ლარი აღრიცხული გვაქვს ჟურნალში ქვითრებით. თვით ეკლესიის მსახურთა მიერ.

ე.წ. „გენერალს" იმ სასულიერო პირებში ხომ არ ვეშლები, ჯიპებით რომ დაგრიალებენ და მიწიერ ფუფუნებას არ იკლებენ? მე ვაშენებ, ვამშვენებ, ვიცავ ერის ტრადიციებს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მართლმადიდებლობას. თქვენ კი, საქართველოს მოღალატენო, გახლიჩეთ ერი, დაანაწევრეთ ეკლესია, რომელიც თქვენგან მართული გახადეთ, რათა სისხლისმძღვრელი სააკაშვილის ნებაზე ყოფილიყო. სწორედ თქვენ ანგრევდით საქართველოს, გაასხვისეთ ძირძველი მიწა-წყალი. თქვენ აძლიერებდით და იცავდით აგენტურული საქმიანობისთვის შემოგზავნილ იეღოველთა სექტას, სპობდით სულიერებას, სკოლებიდან სალოცავი კუთხე მოხსენით, სამხედრო მოსამსახურეებს ლოცვას უკრძალავდით, სინოდის სხდომებს ქვასროლია ბოკერია და მისნაირები მართავდნენ. პარლამენტი ურწმუნოთა შესაკრებლად გახადეთ, ღია ბრძოლა გამოუცხადეთ ეკლესიას. ფაშისტმა სააკაშვილმა თქვენ „პპს"-დან სერჟანტის წოდებით წამოგიყვანათ, ათასი სიბინძურე ჩაგადენინათ და სამაგიეროდ „გენერლის" წოდება მოგაგოთ.

თქვენ აღნიშნავთ, რომ გამოგიძახეს შეკრებაზე, სადაც იყო შს მინისტრი გია ბარამიძე, რომლის ბრძანებით სვანეთში უმოწყალოდ ამოხოცეს უდანაშაულო ოჯახი. შეკრებაზე ყოფილან ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. თათბირს მართავდა ბოკერია, სააკაშვილის დავალებითო. თქვენ, ფაქტობრივად, გაეცით სააკაშვილისა და ბოკერიას მზაკვრული გეგმა. აღნიშნავთ, რომ მკალავიშვილმა, ძებნილმა მიიღო აგენტურული დავალება, საზღვარი უკანონოდ გადმოეკვეთა, თბილისში თავისუფლად დასეირნობს, გლდანში ერთიანდებიან ოპოზიციური ძალები და კონტრრევოლუციის გეგმას აწყობენო. თქვენ, ე.წ. გენერალო, იმეორებთ ყოველგვარ რეალობასმოკლებულ, პროვოკაციულ სიტყვებს; იქნებ, ახსნათ, რომელ დავალებაზეა საუბარი, რომელ საზღვრის გადმოკვეთაზე, ან რომელ კონტრრევოლუციაზე. რა დავარქვა ამ სიზმრებს? ვფიქრობ, ამოდენა სიყალბეს რომ ყვებოდით, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყავით. საცოდავო საქართველოვ, ვის ხელში იმყოფებოდი და ხარ დღესაც?!.

უვიცო გენერალო, ჰყვებით ჩვენი ტაძრის დარბევის მომენტებს და აღნიშნავთ, რომ პირველ მცდელობაზე შს სამინისტროს პოლიციამ შტურმით ვერ აიღო ეკლესია. კი ვერ აიღო, მათ თქვენსავით შუბლის ძარღვი არ ჰქონდათ გაწყვეტილი და რუსული სამხედრო სამხიდიანი „ურალით" არ უცდიათ შემოსვლა. მათ შეხედეს სინამდვილეს და თავი აარიდეს ხალხის დარბევას. იმაში გეთანხმებით, რომ აღნიშნავთ, თქვენი ხელმძღვანელობით 2000-მა სპეცნაზელმა საათნახევრის განმავლობაში ვერ შემოაღწია ეკლესიის ტერიტორიაზე, ვინაიდან წინააღმდეგობას გიწევდათ ღამენათევი მრევლის 100 წარმომადგენელი. აღნიშნავთ, რომ შემდეგ გამოიძახეთ საქართველოს თავდაცვის 5000-მდე ჯარისკაცი. უბადრუკნო, თქვენ არა მხოლოდ 100 ხანშიშესული ქალი გიწევდათ წინააღმდეგობას, არამედ ღვთისგან მოვლენილი ზეციური ანგელოზები ებრძოდა თქვენ ბარბაროსობას, რომელსაც თქვენ ვერ ამჩნევდით. ვაი, სირცხვილო, თქვენ რა ცხინვალის ამლები იქნებოდით, კბილებამდე შეიარაღებულნი 100 ქალს ვერ მოერიეთ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, გრცხვენოდეთ. მინდა შეგახსენოთ, თქვენ დაქვემდებარებაში მყოფ სპეცნაზელებს ფარებზე და სამოსელზე ეწერათ „ჟანდარმერია". „გენერალო", მსგავსი უწყება საქართველოში არ არსებობს!

„...როდესაც ბასილ მკალავიშვილს მოსკოვის მიერ მიეცა დავალება, გადასულიყო საქართველოში და გაეგრძელებინა თავისი მოქმედება. მას, ძებნილს, არ შეექმნებოდა პრობლემა არც საზღვარზე გადასვლაში, არც შემდეგ მოქმედებაში...", — ამბობს თათუხაშვილი.

საზღვარზე რომ გაატარეს მკალავიშვილი, ამაზე სასაზღვრო პოლიცია, კერძოდ, ბიწაძე აგებს პასუხს..."

საქართველოს მოღალატე, თათუხაშვილო, თქვენში ხომ არ გეშლებით?! დაფრინავთ ევროპასა თუ ოკეანის გაღმა და ანგარიშს აბარებთ თქვენ დამფინანსებლებს, როგორ დაანგრიოთ საქართველო. მე არც რუსეთში ვყოფილვარ და არც ბიწაძეს ვიცნობ პირადად.



ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ აღიძრა საქმე ჩემ წინააღმდეგ, როგორც აგენტზე, თქვენ პასუხობთ: „ამ საკითხზე კონტრდაზვერვამ „იმუშავაო"!!. კერძოდ, ვინო, რომ შეგეკითხნენ, პასუხობთ: „ვერ ვიხსენებ, რომელი იყო ბოლოს, სულ ერთნი არ გამოდიანო?"

უნიჭო, თვითმარქვია „გენერალო", დაფიქრებულხართ? ეს როგორი სერიოზული ბრალდებაა? აცნობიერებთ, ცილისწამებისთვის როგორ სასჯელს იმსახურებთ?..

თქვენ ძებნილობაში მყოფს მიწოდებთ და დასძენთ, რომ თბილისში დავდიოდი, პრესკონფერენციებს ვმართავდი და იეღოველებას ვარბევდი. გეკითხებით, რანაირი ძებნილი ვიყავი? მე თავისუფლად ვმოძრაობდი ქალაქში ჩემი ძველი „24-"-ის მარკის მანქანით, სამშენებლო მასალებს ვეზიდებოდი, ეკლესიას ვაშენებდი, ხარაჩოებზე ვიდექი.

ბატონო გოგი, თქვენ იმდენი დანაშაული გაქვთ ჩადენილი, ილოცეთ, რათა თქვენი ცოდვები თქვენ მომავალ თაობას არ მოეკითხოს. გირჩევთ, ჩამობრძანდეთ, პირადად ჩემთან, რათა მოინანიოთ საშინელი ცოდვა, თორემ მომავალში ძალიან გვიან იქნება. გააკეთეთ ისე, როგორც თქვენი რაზმის წევრებმა, რომლებიც მოდიოდნენ ეკლესიაში (ციხეშიც კი შემოდიოდნენ) და შენდობას მთხოვდნენ. მე მათ ვაპატიე. თქვენ კი ჩემგან შენდობას ვერ მიიღებთ, სანამ პასუხს არ აგებთ ჯერ 2004 წლის 12 მარტის დანაშაულზე და ახლა იმ ცოდვაზე, რომლითაც თქვენი ნაჯღაბნია გაჟღენთილი.



მე თქვენ ვერაფერს დამიმტკიცებთ, რამეთუ წარსული სუფთა მაქვს, უკან მიხედვის არ მეშინია. თითქმის მთელი სიცოცხლე უფლის სამსახურს შევალიე, ამ გზით ვაგრძელებ მოღვაწეობას სიცოცხლის ბოლომდე. თქვენ კი თქვენივე ყოველგვარ რეალობას მოკლებული ურთიერთგამომრიცხავი „ბრალდებები" გამტყუნებთ.

**— მამაო, თუ ფლობთ ინფორმაციას, რა ხდება საპატრიარქოში, წმიდა სინოდში?**

— ჩემთან სისტემატიურად მოდიან ეპისკოპოსები, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს. მათი მეშვეობით ვფლობ ინფორმაციას, რა ხდება საპატრიარქოში, სინოდის კრებებზე. ხშირად მიმეორებენ, რომ მე ბედნიერი ვარ, რამეთუ არა ვარ მათთან ერთად ცოდვის ჭაობში ჩაძირული.

პატრიარქს დიდი ხანია ჰყავს შერჩეული მისი შემცვლელი, თავისი ძმისშვილი მეუფე დიმიტრი, მაგრამ ახლა, როცა „ციანიდის საქმესთან" მიმართებაში სახელდება მეუფე დიმიტრის მონაწილეობა, ილია II-ს მისი სახელის ხსენებაც კი არ უნდა. ამჟამად კი პატრიარქად მოიაზრება ორი კანდიდატურა, თუმცაღა მათაც წარსული არასახარბიელო აქვთ.

**— ვინ არიან ისინი?!**

— მიტროპოლიტი ანტონი ბულუხია და მიტროპოლიტი გერასიმე შარაშენიძე. როგორც ვიცით, საპატრიარქოში დაყოფილნი არიან „მიშისტებად", ანუ ნაციონალებად და დანარჩენებად. ნაციონალები ყოველნაირად ცდილობენ, პატრიარქის სავარძელში იხილონ პიროვნება, რომელიც მათთვის მისაღები იქნება, რათა აამონ დასავლეთსა და ამერიკას, ვარაუდობენ, რომ მათთვის სასურველი პატრიარქი ლოიალური იქნება და ადვილად მიაღწევენ, ერთსქესიანთა ქორწინება მისაღები გახდეს ეკლესიისთვის.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## არიელ კოენი:

# თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანა შეიძლება ბანქოს ხუხულასავით დაგვეშალოს

გასულ კვირას აშშ-ის გავლენიან გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა სენსაციური ინფორმაცია. გამოცემა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელზე დაყრდნობით წერს, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ შავი პიარის აგორება ჰილარი კლინტონის ინიციატივა იყო. საამისოდ კლინტონის საარჩევნო შტაბმა ერთ-ერთ კომპანიას 6 მილიონი დოლარი გადაუხადაო. გავრცელებული ინფორმაცია „ვი-



კილიქსის“ დამფუძნებელმა ჯულიან ასანჟმაც დაადასტურა.

იგივე ასანჯის მტკიცებით, ლიბიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და ომი ჰილარი კლინტონის ინიციატივა იყო. მისივე თქმით, მაღალჩინოსანი სამხედროები ცდილობდნენ, გადაერწმუნებინათ, რადგან მათ არ ჰქონდათ დეტალურად შემუშავებული გეგმა კადაფის წინააღმდეგ. ასანჟის თქმით, სამხედროები აფრთხილებდნენ, რომ სიტუაცია უმართავი გახდებოდა. ჰილარის უკავშირდება სირიის ოპოზიციური ძალების შეიარაღება და, საერთოდ, „იგილის“ წარმოშობას სწორედ მას აბრალებენ.

ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ თავისი პოლიტიკური თუ სხვა მიზნების მისაღწევად ჰილარი გვამებზე დადიოდაო. სწორედ მას უკავშირებენ შარშან აშშ-ში მომხდარ ორ გახმაურებულ მკვლელობასაც.

ამერიკაში ღიად საუბრობენ ჰილარი კლინტონის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე. რამდენიმე წლის წინ ეს დაადასტურა ლეგენდარული ჯონ ლენონის ქვრივმა იოკო ონომ, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ლენონის სიცოცხლეში ჰქონდა კავშირი ჰილარისთან. „ამას უფრო მეტი ქალი ჰყავდა, ვიდრე მეო“, — განაცხადა ჰილარის მეუღლემ ბილ კლინტონმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ შიდა პოლიტიკურ კრიზისზე ამახვილებს ყურადღებას პოლიტოლოგი არიელ კოენი. მისი თქმით, რესპუბლიკური პარტია დაშლის პირასაა. ამის მიზეზად ორი კონგრესმენის გადაწყვეტილებას ასახელებს, რომლებიც კონგრესში კენჭს აღარ იყრიან. კოენის განცხადებით, დემოკრატები სკანდალური რეპუტაციის მქონე ჯორჯ სოროსისკენ მიდიან. „ყოველივე ეს აშშ-ს კარგს არაფერს მოუტანს და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ქვეყანა ხუხულასავით დაგვეშალოს“, — ამბობს კოენი. მისივე თქმით, რუსეთთან არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება სენატორებისა და კონგრესმენების დამსახურებაა. როგორც პოლიტოლოგი აღნიშნავს, გაისად სენატსა და კონგრესში არჩევნებია და თუ რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, ვითარება გამოსწორდება და ტრამპსაც მიეცემა ნორმალურად მუშაობის საშუალება.

გასულ კვირას პენტაგონის შეფი, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს



მატისი სამხრეთ კორეაში ვიზიტით იმყოფებოდა. მან აშშ-ის სამხედრო ბაზები მოინახულა, დაათვალიერა ჩრდილოელებთან არსებული საზღვარი. სამხრეთ და ჩრდილო კორეის ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევაში მატისი საბრძოლო მოქმედებებით დაემუქრა ჩრდილოელებს. თუმცა პოლიტოლოგები საომარ მოქმედებას გამორიცხავენ. მათი თქმით, ტრამპი მომლაპარაკებელია და დიალოგის გზით შეეცდება შეთანხმების მიღწევას კორეის საკითხზე, თუნდაც იგივე ჩინეთთან.

ესპანეთის ავტონომიამ, კატალონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სუვერენიტეტის გამოცხადება ავტონომიის პრეზიდენტის კარლოს პუჩდემონის ნაცვლად პარლამენტმა ითავა და გადადგა რადიკალური ნაბიჯი. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ კატალონიაში, კერძოდ, ბარსელონაში, მოსახლეობის ეიფორია გამოიწვია. ზეიმი თითქმის ერთი დღე-ღამე გაგრძელდა. „კატალონია ესპანეთი არ არის!“ — ასეთი ლოზუნგებით იყო გამოსული მოსახლეობის ნაწილი.

ვიდრე კატალონიაში დამოუკიდებლობას ზეიმობდნენ, მადრიდში გაიმართა ესპანეთის მთავრობის საგანგებო სხდომა. პრემიერ-მინისტრმა მარიანა რახოიმ დაითხოვა კატალონიის პარლამენტი, თანამდებობიდან გაათავისუფლა პუჩდემონი და ყველა საკვანძო თანამდებობის პირი, მათ შორის, კატალონიის პოლიციის შეფი. რახოიმ კატალონიაში საპარლამენტო არჩევნები წინასაშობაოდ, 21 დეკემბერს დანიშნა. მთავრობის გადაწყვეტილებას მხარი ესპანეთის საკანონმდებლო ორგანომაც დაუჭირა. ამასთან, რახოიმ მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

კატალონიელთა დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია, მსოფლიოს ქვეყნები მხარს ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ, მათი შეშფოთება გასაგებია, რადგან კატალონიის დამოუკიდებლობამ, ადვილი შესაძლებელია, მსოფლიოში „დომინოს პრინციპი“ გამოიწვიოს და სხვადასხვა ავტონომიურმა წარმონაქმნებმა მათ მიბაძონ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კატალონია კი არ არის ძლიერი, არამედ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებაა სუსტიო. ამასთან, მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები რახოის მოუწოდებენ, არ გამოიყენოს ძალისმიერი მეთოდები.

კატალონიის დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობა ბოლოს გასულ საუკუნეში, 1934 წელს იყო. მაშინ ამას რეპრესიები და შემდეგ ესპანეთის სამოქალაქო ომი მოჰყვა. ამიტომაც შიშობს მარი ლე პენი, ახლაც არ განმეორდეს ისტორია და სამოქალაქო ომი არ დაიწყოს. სამოქალაქო ომის რა გითხრათ, მაგრამ კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კვირას ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. თუმცა ვითარება სამართალდამცავებმა მალე განმუხტეს.

დაპატიმრებები კატალონიაში ახლაც მოსალოდნელია. პუჩდემონისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას ამბოხის ორგანიზებისთვის. ასეთ შემთხვევაში მათ 30 წლით პატიმრობა ელოდება. მართალია, პუჩდემონი არ აპირებს, დაემორჩილოს ესპანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ უკვე ეძებს ადგილს თავშესაფრისთვის. ასეთ ქვეყნად მიმომხილველები საფრანგეთს ასახელებენ, სადაც პუჩდემონს ახლო მეგობრები ჰყავს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# შეცდომა თუ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა?

## რა ხდება განათლების სამინისტროში?

„ამ ეკლესიის ეზოში მაქვს ნა... ბი ბიჭებთან რამდენიმეჯერ. პრობლემაა რამე?“. აი, ამ შემთხვევაში პრობლემა ნამდვილად არის, თანაც უზარმაზარი, რადგან ამ კომენტარის ავტორი ახალგაზრდულ ბანკში მე-6–7 კლასების ტრენერად იყო მივლინებული. თავი რომ დავანებოთ, კითხვას მომავალი თაობის “განმანათლებელმა“ მამათმავლობის აქტებისთვის ეკლესიის ეზოზე შესაფერისი ადგილი რატომ ვერ შეარჩია, ამ შემთხვევაში, უფრო საინტერესო მე-6 და მე-7 კლასელების ტრენერად მისი შერჩევის კრიტერიუმები უნდა იყოს. ვინ და რატომ გადაწყვიტა ბავშვებთან ტრენინგების ჩასატარებლად გაეშვა ადამიანი, რომელიც პირად სივრცეში დაუფარავ ჰომოსექსუალურ პროპაგანდას ეწევა? არსებობს თუ არა ტრენერების შერჩევის კრიტერიუმები და იყვნენ თუ არა ინფორმირებული მოსწავლეები და მათი მშობლები ტრენერის ვინაობისა და ტრენინგების შინაარსის შესახებ? — ამ და სხვა კითხვებით განათლების სამინისტროს დავუკავშირდით, თუმცა პასუხად მივიღეთ, რომ განათლების მინისტრი საქართველოში არ იმყოფება და სამინისტრო კომენტარს მხოლოდ მისი ჩამოსვლის შემდეგ გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ განათლების სამინისტროს მიმართ მსგავსი შინაარსის კითხვები 2013 წელსაც გაჩნდა, როცა თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებს სკოლიდან სახლში საკითხავად გაატანეს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფრანგი მწერლისა და დრამატურგის ჟან ჟენეს ავტობიოგრაფიული რომანი „ნოტრ დამ დე ფლერი“ (ყვავილების ღვთისმშობელი), რომელშიც ავტორი საკუთარი ჰომოსექსუალური გამოცდილების შესახებ ყვება. ერთ-ერთი მოსწავლის მამის მიერ ატეხილი ხმაური რომ არა, შეიძლება საზოგადოებას ამ ფაქტის შესახებ ვერაფერი გაეგო. მოგვიანებით, გაირკვა რომ წიგნები სკოლაში ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ, პროექტის „ვისაუბროთ წიგნებზე“ ფარგლებში იქნა შეტანილი. მაშინ განათლების სამინისტრომ და პროექტის ხელმძღვანელმა მომხდარს სამწუხარო შეცდომა უწოდეს და საბოლოოდ, ყველაფერი მასწავლებლებს დაბრალდა. რაზე მიანიშნებს განათლების სისტემაში გახშირებული „შეცდომები“, ამაზე მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ დაიწყებს თუ არა განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი აღნიშნულ საქმეზე მოკვლევას, უცნობია. ჩვენ თვალს მივადევნებთ პროცესების განვითარებას და შედეგების შესახებ ჩვენს მკითხველს ვამცნობთ.

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# ფერი ფერსა, ანუ მითხარი ვინ არის შენი ნათესავი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!



არ არის პოლიტიკაში გულახდილობის ადგილი, არა.

არ არის პოლიტიკაში ნათესაობის ადგილი, არა.

არ არის პოლიტიკაში დანდობა, არა.

ექსპარტიაგამონაცვალი მეჭიაური სიმწრით მივაღებინე „ქართულ ოცნებაშიო“ – ქუცნაშვილმა და თავად პროტექტორმა თავის მხრივ თავისი პროტექტორებიც მიასახელა.

ჩამშვების ჩამშვები ცხონდაო...

უშევარი და ლოთი იჯდა სახლში დღე და ღამე და ვალდებული ვიყავი წამომეყვანაო – ქუცნაშვილმა მეჭიაურზე.

ვალდებული იყავი, აბა რა, უნდა გეზრუნა, აბა რა – კარგი ბიჭი ხარ, ზაქარია, შენ! მაგრამ პირდაპირ პარლამენტში რათ მოგყავს? ჯერ ალკოჰოლდამოკიდებულებას უმკურნალე, მერე რამე პატარა სამსახური მიუგდე – აკი, ისე გასაცოდავებულია – ნებისმიერ სამსახურს დაყაბულდება.

ჰეო, მაშანტაჟებდაო.

მარტო მე კი არა, მთელ პარტიას გვაშანტაჟებდაო.

შენა გყოლია ნათესავები, აი. სახლში ჩამჯდარი, უმუშევარი, ლოთი ნათესავი თუ მთელ პარტიას გიშანტაჟებს – საღოლ ნათესავს.

ასე ვაჭრობით მოიპოვა ივანიშვილისგან დეპუტატობაო.

ვაჭრობა რა ფორმით მიდიოდა, ნეტა?

ალბათ, მეჭიაურმა უთხრა – პრეზიდენტობა მინდა, მეო.

ივანიშვილმა – არა, საკრებულო მაქსიმუმო.

მეჭიაურმა – მაშინ პრემიერ-მინისტრობაო.

ივანიშვილმა – დეპუტატობა და ბოლოაო.

კაიო – მეჭიაურმა.

მერე გარეთ გამოსულ მეჭიაურს შუბლიდან ოფლი გადაუწმენდია და უთქვამს – აუფ, არადა საკრებულოს წევრობაზეც თანახმა ვიქნებოდიო.

გარეთ რომ გასულა მეჭიაური, ივანიშვილს სინანული ჩადგომია თვალებში და ჩაულაპარაკებია- არადა, პრეზიდენტადაც გავუშვებდიო.

ასე იქნებოდა, დასტურ.

ისე ლანძღა პასუხად მეჭიაურმა ქუცნაშვილი, ისე ლანძღა – ყურიდან ყურში არ შეიშვებოდა – ეგ ოროთახიანი ხრუშოვკიდან გამოსულიო.



მას მერე სულ ვფიქრობ – ნეტა ოროთახიანი ბინა ტეხავს თუ ხრუშოვკა?

სამჯერ გადავზომე მანძილი იატაკიდან ჭერამდე.

ხუთჯერ გადავავლე ჩემს ერთ ოთახს თვალი.

ვაი, ჩვენს პატრონს – ჩავილაპარაკებ ხოლმე უმისამართოდ – პატრონი მაინც არ გვყავს და... არავის ეწყინება...

ხელის ბიჭად მყავდა ქუცნაშვილი, ქაღალდებს დაატარებდა (მოვუკვდი მაგას მე აღარა), ჰოდა, ფრაქციაში იმიტომ შევედი, მაგისთვის ერთი ადგილი რომ გამეკეთებინა, თორემ, რა ჯანდაბა მინდოდა აბა, მე ფრაქციაშიო – მეჭიაურმა.

ეჰეი, მაინდ, პარლამენტში ჩემი ნათესავი არავინ ხართ?

წამიყვანეთ ამ ერთოთახიანი ხრუშოვკიდან მეც...

თუ უმუშევარი უნდა ვიყო მაინც და მაინც და გავლოთდე, რომ მომხედოთ?

მაგრამ, ამ ამბის მთავარი მორალი კიდევ სხვა რამეა – დააკვირდით, ორივე მხარე მატერიალურ კეთილდღეობაზე საუბრობს – ერთმა მეორე ოროთახიანი ხროშოვკიდან გამოიყვანა, მეორემ უმუშევარი და გალოთებული გადაარჩინა – ე, დაგასტუკეეთ, ბიჭებიი – ფული კეთდება ესე იგი პოლიტიკაში, ხომ?

მაინც ხომ წამოგცდათ?

მაინც კეთდება, ანუ, მანდ ფული!

აკი, აღარო?

ეს ამბავი ცოტა ადრე რომ მცოდნოდა, სადმე კენჭს ვიყრიდი მერად...

არა, უშავს, მომდევნო არჩევნები წინაა, მანამდე ოროთახიან ხრუშოვკაში გადავალ და თუ საჭირო გახდება, ცოტა-ცოტას გავლოთდები – ასე უფრო ახლოს ვიქნები დეპუტატობასთან.

**თამუნა კუშელავა**
555 46 08 04

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– როდესაც მიმიღეს სამუშაოდ, ჩვენ შევთანხმდით გარკვეულ პირობებზე. ეს პირობები ჩავდეთ შესაბამის ხელშეკრულებაში. შრომით კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა ჩემი პირობები შეცვალა, რაც მე არ მაწყობდა. ჰქონდა თუ არა ჩემს დამსაქმებელს, ჩემი თანხმობის გარეშე ამ პირობების შეცვლის უფლება?**

– ჰქონდა.

საქართველოს შრომითი კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

აქვე მოგახსენებთ შემდეგს:

ამავე კოდექსის მე-4 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

ამ ორივე გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

* * *

**– ვარ სოციალურად დაუცველი. შემაქვს სარჩელი სასამართლოში უნდა გადავიხადო თუ არა სახელმწიფო ბაჟი?**

– თქვენ სახელმწიფო ბაჟს არ გადაიხდით. კანონი სოციალურად დაუცველს ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სარჩელს აუცილებლად დაურთეთ ცნობა სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.

* * *

**- სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137- ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

* * *

**– როგორ გავხდე ადვოკატი?**

– პირველ რიგში, უნდა იყოთ იურისტი. შემდეგ უნდა ჩააბაროთ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, თქვენი არჩევანის მიხედვით / საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი/. გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღებთ შესაბამის სერთიფიკატს 7-წლიანი ვადით. ამ ვადაში შეგიძლიათ გაწევრიანდეთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ჩემი რჩევაა, გაეცნოთ კანონს “ ადვოკატთა შესახებ“. გისურვებთ წარმატებებს!

* * *

**– მაინტერესებს ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში.**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128–131. -ე მუხლები-ე მუხლები, რომელთა შინაარსს წარმოგიდგენთ სრულად:

-მუხლი 128. ცნება. სახეები

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

ა. პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ. მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

# ძლიერი რეგიონები




## ბაღდათობა 2017

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საერთო-სახალხო დღესასწაული „ბაღდათობა 2017“ მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა.

ბაღდათის საკათედრო ტაძარში გაიმართა საზეიმო ლიტურგია. ბაღდათის ცენტრში მოეწყო ეთნოკუთხეები, სადაც ადგილობრივი სამზარეულო და ტრადიციული რეწვის ნიმუშები იყო წარმოდგენილი. გაიმართა აგრეთვე სპორტული ღონისძიებები.

„ბაღდათობა 2017“-ის ფარგლებში, კულტურის ცენტრში დააჯილდოვეს საპატიო ბაღდათელები: ნოდარ მაშანეიშვილი, ვახტანგ იოსებაშვილი, ნარგიზა ბუხულეიშვილი, შუქრი ნაკაშიძე და გია მეფარიშვილი. გაიმართა კონცერტი, რომელშიც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ.

საერთო-სახალხო დღესასწაულს ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ გოგსაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე გრიგოლ დალაქიშვილი, ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების მერები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„ბაღდათობა 2017“-ის ფარგლებში ასპარეზობები გაიმართა სპორტის ოთხ სახეობაში: ჭიდაობაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და მკლავჭიდში. სპორტულ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც მონაწილეობდნენ.

## რიკოთის ავტობანის მშენებლობის დეტალები

ავტობანის რიკოთის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაო 2018 წლის მეორე ნახევარში უნდა დაიწყოს. თანხების მოზიდვას მთავრობა რამდენიმე დონორისგან გეგმავს.

ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობას მსოფლიო ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი 41,6 მილიონი ლარით დააფინანსებენ. ხევი-უბისას მონაკვეთისთვის აზიის განვითარების ბანკი 52,45 მილიონ ლარს გამოყოფს. უბისა-ძირულას მონაკვეთს 52,45 მილიონი ლარით ევროპის საინვესტიციო ბანკი დააფინანსებს. ძირულა-არგვეთას მონაკვეთისთვის კი 52,45 მილიონ ლარს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო გამოყოფს.

რიკოთზე ჯამში 53-კილომეტრიანი მაგისტრალი უნდა აშენდეს. პროექტი 90 ხიდს და 40-მდე გვირაბს მოიცავს.

2018 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. აზიის განვითარების ბანკი ამ პროექტს, სავარაუდოდ, 35,5 მილიონი ლარით დააფინანსებს. გზას, საჭიროების შემთხვევაში, რიკოთის უღელტეხილის ავტომაგისტრალის მონაკვეთის ალტერნატიულ გზად გამოიყენებენ.

ავტობანის მშენებლობა, რიკოთის გარდა, კიდევ რამდენიმე მონაკვეთზე გაგრძელდება. ყველაზე მეტი თანხა, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთისთვის გამოიყოფა. ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროკავშირის დაფინანსება 2018 წელს 111,55 მილიონ ლარს შეადგენს. ზემო ოსიაური-რიკოთის მონაკვეთზე კი ევროპის საინვესტიციო ბანკისა და მსოფლიო ბანკის სავარაუდო დაფინანსება 73,9 მლნ ლარი იქნება.

## ხარაგაული – ტაძარს გუმბათს ადგამენ

ხარაგაულის მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარზე გუმბათის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოები, ძირითადად, შემოწირულობებითა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს.

## ახალი მომსახურება ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში

ამიერიდან ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში შესაძლებელია საქართველოში ხელმისაწვდომი ყველა ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, მათ შორის გენეტიკური, ადგილზე არსებულ დნმ-ლაბორატორიაში.

კლინიკა ჩართულია ისეთ სახელმწიფო პროგრამებში, როგორებიცაა: C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, ინფექციური დაავადებების სტაციონარული პროგრამა, შიდსის სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება და გადაუდებელი ამბულატორიული დახმარების პროგრამა.

ჩამოთვლილი პროგრამების ძირითად ნაწილს სახელმწიფო აფინანსებს. კვალიფიციური სამედიცინო დახმარება შესაძლებელია გაეწიოს ყველა ასაკის პაციენტს.

ცნობისათვის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, პირველი ინფექციური საავადმყოფო 1994 წლის 29 აგვისტოს ზუგდიდში გაიხსნა, რომლის მომსახურებითაც დღემდე სარგებლობს აფხაზეთის მოსახლეობაც.

## ზუგდიდი – „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმატებით ახორციელებს სოციალურ პროექტს – „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“, რომელიც ივლისის თვეში დაიწყო.

სამიზნე ჯგუფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფი წარმოადგენს. ესენი არიან მარტოხელა ხანდაზმულები, რომელთაც არ გააჩნიათ ფიზიკური და ეკონომიკური საშუალება, მოიწესრიგონ თავიანთი საცხოვრებელი გარემო და პირობები. პროექტი 30 ბენეფიციარზეა გათვლილი.

სერვისი ითვალისწინებს: ეზოკარის მოწესრიგებას (მოთიბვა, შეშის დახერხვა), საცხოვრებელი სახლის დალაგება-დასუფთავებას, ბენეფიციარის პირადი ჰიგიენის მოწესრიგებასა და სალონური მომსახურებას, საკვების მიწოდებას, ექიმის კონსულტაციას, სოციალურ საკითხებზე კონსულტაციას. ყველა ბენეფიციარს გადაეცემა აგრეთვე საშუშე მასალა.

დღემდე ამ ჯგუფის წევრები 120 ასეთ ხანდაზმულს ეწვივნენ. პროექტს ზუგდიდის გამგეობა ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის (PIN Georgia) მხარდაჭერით ახორციელებს.




## ზუგდიდი – გამგებლის სტიპენდიატები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამით 2017 წელს გამგებლის სტიპენდიანტი ხუთი სტუდენტი გახდა. თამუნა ჭიჭალღუას, თაუნა ნარმანიას, ნინო ჯინჯორიას, ბაია ღუბელაძესა და გიორგი ქანთარიას ყოველთვიურად 250–300 ლარის ოდენობის სტიპენდია დაენიშნათ.

გარდა ამისა, ნესტან ნარმანიას ბელორუსიის სამედიცინო აკადემიაში ორდინატურის მეორე სემესტრი დაუფინანსდა. ბელა კირკიტაძეს, ედუარდ ციკოლიასა და ქეთევან ღურწკაიას გოეთეს უნივერსიტეტსა და ლუბლიანაში მგზავრობის ხარჯები აუნაზღაურდებათ, ხოლო ანი გულორდავას თანხა აქსესუარებისა და საქარგავი მასალებისთვის გამოეყო.

## ზუგდიდი – ეტლები ბენეფიციარებს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თამაზ ჟორჟოლიანმა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურისა და საერთაშორისო ასოციაციის –„ საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ – წარმომადგენლებმა ახალი ეტლები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ეტლით მოსარგებლე 13 ბენეფიციარს გადასცეს. ახალი ეტლების შეძენა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ასოციაცია„ საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, LDS CHARITY-სა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი მხარდაჭერით.

## სენაკი – ევროპული სტანდარტის ბაღი პატარა სენაკელებისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტში მომავალი წლიდან ახალი, ევროპული სტანდარტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება დაიწყებს ფუნქციონირებას. ფოთის ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებული № 2 საბავშვო ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე, ორსართულიანი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოების მიმდინარეობა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ გამგებლის მოადგილეებთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. ორიგინალური არქიტექტურით გამორჩეული შშმ პირებზე ადაპტირებული საბავშვო ბაღის შენობა 80 აღსაზრდელზეა გათვლილი. მშენებლობის დასრულების შემ-

# ძლიერი საქართველოსთვის




დეგ მასში სამი ჯგუფი გაიხსნება.

პროექტის ღირებულება 280 ათასი ლარია.

### სენაკი – შშმ პირთა დახმარების პროგრამა

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ჯუმბერ ლაშქარავამ, საერთაშორისო ასოციაცია,, საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წევრებმა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 24 პირს გადასაადგილებელი ეტლები გადასცეს.

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ, შშმ პირთა საჭიროებების სპეციალური მოკვლევის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტი, თითოეული ბენეფიციარის ინდივიდუალური ზომებისა და მონაცემების აღწერით, გაეგზავნა საერთაშორისო ასოციაციას,, საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომლის მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი სპეციალური საჭიროების პირთათვის ეტლების შეძენა. ამ პროგრამით ისარგებლეს როგორც ქალაქის, ისე ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა.

ორგანიზაცია წლებია მუნციპალიტეტებთან თანამშრომლობს და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ცდილობს იმ შშმ პირთა პრობლემების მოგვარებას, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ. ყველგანმავალი საინვალიდო ეტლის ინოვაციური დიზაინი იძლევა ადვილად და უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალებას, რაც გააუმჯობესებს შშმ პირთა ცხოვრებისა და გარემოსთან ადაპტირების ხარისხს.

### ჩხოროწყუ – საგრანტო პროგრამა მეფუტკრეობაში

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც განიხილეს მეფუტკრეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. საგრანტო დახმარების ფონდის წარმომადგენლები შეხვდნენ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს, ასევე – დაინტერესებულ პირებს.

მეფუტკრეობის პროექტში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განაცხადი უნდა შეიტანონ 15 ნოემბრამდე. პროექტის დაფინანსება შესაძლებელი იქნება 30 000 აშშ დოლარის ოდენობით.

მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ პროექტის ხელმძღვანელს ჩხოროწყუში გენადი პაპავას, მობ.: 551 14 37 08.

### სენაკი – ტრენინგი მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად

მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი თემებზე: „გრიპის ეპიდზედამხედველობა და კონტროლი“ და „წითელას, წითურასა და თანდაყოლილი წითურას სინდრომის ეპიდზედამხედველობა და ეპიდაფეთქებათა კონტროლი“.




ეპიდზედამხედველობის პროგრამის განხორციელება უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდმდგომარეობის შესანარჩუნებლად. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარე პროგრამული ღონისძიებების მიზანია გადამდებ დაავადებათა დროულად გამოვლენის, პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება.

სემინარს ოჯახის ექიმები, გინეკოლოგები, პედიატრები და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

### რუსთავს ახალი სკულპტურები შეემატა

რუსთავის ცენტრალური მოედნის მიმდებარედ, მუნიციპალური თეატრის მოპირდაპირე მხარეს არსებულ სკვერში, მოქანდაკეთა სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი 13 სკულპტურა დამონტაჟდა. სამუშაოები მერიის ა(ი)იპ „უზრუნველყოფამ“ შეასრულა.

სიმპოზიუმის მონაწილე ფრანგი სკულპტორის, ნიკოლაი ფლესინგის ნამუშევარი,, ქალაქის კარიბჭე“ მეგობრობის გამზირზე, სკვერში დაიდგა, ესპანელი მოქანდაკის, ამანსიო გონსალესის მიერ შექმნილი სკულპტურა –,, ადამიანი ღამურა“ კი რუსთავის ცენტრალურ პარკში დამონტაჟდა.

მიმდინარე და გასულ წელს გამართული სიმპოზიუმების ფარგლებში შექმნილი ქანდაკებების განთავსება სხვადასხვა ადგილას, მათ შორის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცენტრალური არქივის შენობის წინ და სასტუმროსთანაც იგეგმება.

რუსთავის მერიის „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრის“ ორგანიზებით, მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი კულტურისა და დასვენების პარკში, 11 ივლისს გაიხსნა და ერთ თვეს გაგრძელდა. მასში მონაწილეობდა 11 მოქანდაკე: 8 ქართველი და 3 უცხოელი (ესპანელი, ფრანგი და ეგვიპტელი).

მოქანდაკეთა სიმპოზიუმი რუსთავში პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარდა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სკულპტორები მონაწილეობდნენ.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სიმპოზიუმი 2016 წელს,,, რუსთავქალაქობის“ ფარგლებში გაიმართა.

### დმანისი – ჯანსაღ ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვით

დმანისის მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ამჯერად მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის მინისტადიონზე ფეხბურთში სასკოლო სპორტული ოლიმპიადა გაიმართა.

გოგონებს შორის გამარჯვება მოიპოვა დიდი დმანისის საჯარო სკოლის გუნდმა, ვაჟებს შორის კი – ქალაქ დმანისის საჯარო სკოლის გუნდმა.

### წალკის მუნიციპალიტეტში

ქალაქ წალკის საკათედრო ტაძარში დაბრძანებულია ივერიისა და აწყურის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატები. ტაძარში მთელი კვირის განმავლობაში (ყოველდღიურად) აღევლინება წირვა-ლოცვა, ეპარქიის მამები მორიგეობით იმსახურებენ.



# სამსონ საშქაპაშვილის ბლოგი



ყველაფერი ვაინშტაინის ბრალია!

ჰოლივუდში ვაინშტაინის გარშემო აგორებული სკანდალი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს და საქართველოს მისწვდა.

ჩვენი ქალბატონების ერთმა ნაწილმაც, არიქა, მოვლენებს არ ჩამოვრჩეთო და დიდი წიოკობა



ატეხეს — ჩვენც განვიცდიდით და განვიცდით სექსუალურ შევიწროებას, ოღონდ აქამდე არ ვამხელდითო.

ამასწინათ „იმედზე“, რომელიც „რუსთავი-2“-ის „ძმათა სასაფლაოდ“ იქცა, ერთ გადაცემას ვუყურე, რომელიც სექსუალური შევიწროების თემას ეხებოდა.

გადაცემის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებში თურმე არსებობს ქცევის და ურთიერთობის ისეთი ნორმები, რომლებიც სინამდვილეში სექსუალური შევიწროების ნიშნებს შეიცავს, თუმცა ქართული მართლმსაჯულება ამაზე, ჯერჯერობით, ჯიუტად ხუჭავს თვალს და პრობლემას ვერ ამჩნევს.

სექსუალური შევიწროებაა თურმე, თუ ქალბატონს კომპლიმენტს ეტყვი, ან ხელზე ხელს ნაზად მოუჭერ, ან თმაზე ხელს გადაუსვამ, ან მთლად უარესი — მხარზე მოხვევ ხელს.

დავიღუპე — ამ მიმართულებით იმდენი დანაშაული მაქვს ჩადენილი, იმ ქალბატონებმა, რომელთა მიმართაც ჩემი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მსგავსი ტიპის უამრავი „სექსუალური შევიწროებები“ მაქვს ჩადენილი, ყველამ ერთად თუ გაიხსენა ეს ამბები და ყველამ ერთად თუ მიჩივლა, სამუდამო პატიმრობა გარანტირებული მაქვს.

არადა, გახსენებით გაიხსენებენ — ისეთი მახსოვრობა აქვთ ამ დალოცვილებს (მანდილოსნებს ვგულისხმობ), ყველა წვრილმანი, ერთი შეხედვით ყველა უმნიშვნელო დეტალი, ახსოვთ.

ამასწინათ ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა გამაჩერა ქუჩაში, საოცრად ტკბილად და თბილად მომიკითხა, თან ჯიუტად მიმეორებდა — ხომ მიცანი, სამსონ, ხომ გახსოვარო?!.

ისეთი სიყვარულით მელაპარაკებოდა, შემრცხვა და კი, როგორ არ მახსოვხარ-მეთქი, ვიცრუე.

როგორც ქალბატონის ნაამბობიდან გაირკვა, ოცდაათი წლის წინათ, როგორც მან გამაჩერა ახლა ქუჩაში, ისე გამიჩერებია მეც და იების კონა მიჩუქებია.

— გაზაფხული იყო, ლამაზი. ლამაზი კაბა მეცვა, შენ მოხვედი, იები მაჩუქე და — როგორი მშვენიერი ხართ, როგორ ჰგავხართ გაზაფხულსო, — მითხარი, ხომ გახსოვს?

ოცდაათი წლის წინანდელი ამბავი მე როგორ მემახსოვრება, მაგრამ იმას ახსოვს!

როგორც ვთქვი, იმათ ყველაფერი ახსოვთ, თითოეული სიტყვა, თითოეული კომპლიმენტი — ყველაფერი ახსოვთ!

ეს მათი ბედისწერაა, განგების მიერ მათთვის მოვლენილი ტკბილი სასჯელი და განაჩენია.

აგერ, ახლახან, დონალდ ტრამპს ათი წლის წინანდელი ამბავი გაუხსენა ერთმა ლამაზმანმა, მანამდე კი სხვა ლამაზმანებმა გაიხსენეს, რომ მსუნაგ დონალდს ქალებისთვის რბილ ადგილებში, უფრო ზუსტად, საჯდომზე უყვარს ჩქმეტა.

ჩემი არ იყოს, დონალდიც რა დღეშია, ეგ საცოდავი — ყველას ახლა გაეხსნა გონება და ყველას ერთბაშად გაახსენდა. ვის სად უჩქმიტა და ვის სად უბწკინა.

რა ქნან — ახსოვთ და...

ახალი კანონი სექსუალური ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ რომ არის მისაღები, ამას თუნდაც ახლახან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მომხდარი ერთი შემზარავი ფაქტიც ადასტურებს — საარჩევნო კომისიის წევრმა მანდილოსანმა საარჩევნო კომისიის წევრ მამაკაცს კომისიის თავმჯდომარესთან უჩივლა — სექსუალურ ზეწოლას ახორციელებდა ჩემზეო.

— როგორ და რანაირად, ყველანი ერთად ვიყავით, ერთ ოთახში და ყველას თანდასწრებით სექსუალურ ზეწოლას როგორ განახორციელებდაო? — გაიკვირვეს კომისიის წევრებმა.

— როგორ და მაგიდის ქვემოდანო, — განაცხადა მანდილოსანმა.

— ააა, გასაგებიაო, — თქვეს კომისიის წევრებმა და ძალიან, ძალიან ღრმად ჩაფიქრდნენ.

ნამდვილად არის ჩასაფიქრებელი ამბავი — იმ მაგიდის ქვემოდან, სადაც საარჩევნო ბიულეტენები აწყვია და თვითმმართველობის ბედი წყდება, როგორ შეიძლება სექსუალურ ზეწოლას ახორციელებდე, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის მომავალზე იფიქრო, სექსზე ფიქრობდე?

ამის შემდეგ როგორ უნდა შეხედო თვალებში ან პარტიას, ან ცესკოს?

მოსამტვრევია იმ კომისიის წევრისთვის ეგ სექსუალურად აცუნდრუკებული ფეხი!

ჰოდა, მოამტვრევენ კიდევაც, ახალ კანონს რომ მივიღებთ, მაშინ...

...გადაცემაში, ძირითადად, ქალბატონები აქტიურობდნენ და მკვეთრ და რადიკალურ განცხადებებს აკეთებდნენ, თუმცა ბოლოს ერთმა მამრობითი სქესის წარმომადგენელმაც გაბედა ხმის ამოღება და მორიდებულად იკითხა: — მხოლოდ მამაკაცებზე რომ კეთდება აქცენტები, ითვლება თუ არა ქალების მხრიდან სექსუალურ ძალადობად ის ფაქტი, წვეულებაზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სხვადასხვა ღონისძიებებზე ნახევრად შიშვლები რომ ჩნდებიან???

კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა, თუმცა მე თუ მკითხავთ, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი კითხვაა.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვთვლი, რომ პირადად მე ახალი სტანდარტების მიხედვით, ბევრჯერ გავმხდარვარ ქალბატონების მხრიდან სექსუალური შევიწროების და ზეწოლის მსხვერპლი.

ქალბატონებს თავიანთ მდიდარ არსენალში მამაკაცებზე ზემოქმედების იმდენი საიდუმლო თუ ზესაიდუმლო იარაღი აქვთ, ჩვენი უნიჭო ფართიფურთი ამასთან შედარებით საერთოდ რა მოსატანია?

რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?

რა ვქნათ და მივიღოთ კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ ახალი ვარიაციებით, ახალი ინტერპრეტაციით, რომელიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის დრომოჭმულ ფორმებს წარსულის გადმონაშთად ჩათვლის და დაამსხვრევს.

ამ კანონის მიხედვით, მამაკაცებს უნდა აეკრძალოთ ქალებისთვის კომპლიმენტის თქმა, ლექსების მიძღვნა, ყვავილების ჩუქება, ხელზე ხელის გადასმა და ა. შ.

აკრძალვები უნდა დაწესდეს ქალბატონებისთვისაც — მაგალითად, მოკლე კაბის ჩაცმა, ღრმა დეკოლტე, ქუჩაში ტანის რხევით სიარული, მაცდური, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი, სხვადასხვა ხერხებით სხეულის სხვადასხვა ნაკვთების გამომწვევად გამოკვეთა და ა. შ.

ასეთი კანონის მიღების შემდეგ სექსუალური შევიწროების ფაქტები ორივე მხრიდან იკლებს, რამაც შეიძლება, ცუდად იმოქმედოს და კიდევ უფრო გაამწვავოს ისედაც მწვავე დემოგრაფიული პრობლემები, თუმცა თქვენ ნუ გეშინით, ქართველებო, ამ საქმეს უჩვენოდაც მშვენივრად მოაგვარებენ საქართველოში შემოხიზნული ჩინელები, არაბები, თურქები, ინდოელები, პაკისტანელები, ირანელები...

რაც შეეხება სექსუალური შევიწროების თემას, მე ძველი ყაიდის კაცი ვარ და აწი, ჩემი გამოსწორება შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, მე კვლავ გავაგრძელებ ქალბატონებისთვის კომპლიმენტების თქმას, ლექსებისა და ყვავილების მიძღვნას და ამისთვის თუ დამსჯიან, დაე, დამსაჯონ — მაგათი გულისთვის ციხეშიც ჩავჯდები, მაგათ შემოევლოთ ჩემი დარჩენილი სიცოცხლე!








# არმაგედონის მოლოდინში

„სიკვდილი ღმერთს არ შეუქმნია და არც ცოცხალთა დაღუპვით ხარობს. რადგან არსებობისათვის შექმნა მან ყოველივე. უღვთოებმა ხელებითაც და სიტყვებითაც მოუხმეს სიკვდილს და აღთქმა დაუდეს მას, რადგან ღირსნი არიან მის კერძად იქცნენ“ (სოლომონი 1–13,15,16).მაშასადამე, სიკვდილი არ ყოფილა ღმერთისმიერი ქმნილება. არამედ ის არის დაშვება სიცოცხლის იმ მდგომარეობისა, რომ სულისა და სხეულის თანაცხოვრება შეწყდეს მაშინ, როცა მათ შორის მიზიდულობის კავშირი დაირღვევა. ეს ნიშნავს იმას, რომ სიცოცხლე მარადიულია და სიკვდილს არ შეუძლია მისი მოსპობა! ვინაიდან სიცოცხლე ღმერთის ქმნილებაა, ხოლო სიკვდილი კი არა! ღმერთის მიერ ქმნილს კი, ვერაფერი დაამარცხებს ამქვეყნად! თუკი სიცოცხლე არ ქრება, მაშინ გარდაცვალების შემდეგ რატომ ვეღარ ვახერხებთ მათ ხილვას?! ბავშვი მუცლად ყოფნის პერიოდში ცოცხალია, თუმცა ვერ ვხედავთ



და ხელი რომ არ მიგვიწვდებოდეს იმ ცოდნაზე, რასაც მუცლად ყოფნა ჰქვია, მის დაბადებამდე ვერაფერს შევიტყობდით მასში მყოფი სიცოცხლის თაობაზე. სწორედ მსგავსი სიტუაციაა იმის შესახებ, რასაც საიქიო ცხოვრება ჰქვია. ადამიანის დედამიწურ აზროვნებას ძალა არ შესწევს საიმისოდ, რომ ან მუცლის გარემოში ცხოვრების პერიოდში განცდილი გაიხსენოს და ანდა საიქიოს განცდებს შესწვდეს. რაც ხდება იმის გამო, რომ მას სუსტი კავშირი აქვს გონებასთან. რომელსაც ყოველნაირი გარემოს ამბებზე მიუწვდება ხელი. ძველ ეგვიპტელს სწამდა, რომ იმქვეყნიურ კეთილდღეობას სიცოცხელში ყოველდღიური ლოცვით და რიტუალების ერთგულად შესრულებით მიაღწევდა. საჭირო იყო ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა და მომზადება საიქიო სამსჯავროზე წარსადგომად. სწორედ ამიტომ შეიქმნა„ მიცვალებულთა წიგნი”. მასში აღწერილია ყველა ის საშუალება, რომელიც, ეგვიპტელთა რწმენით, სულს სამსჯავროზე დაეხმარებოდა.

ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, ადამიანის გული ბუმბულივით მსუბუქი იყო, ამიტომ ოსირისის სამსჯავროზე, მას ბუმბული არ უნდა გადაეწონა. განკითხვის დასასრულს „თოტი“ და „ანუბისი“ იწყებდნენ გულის აწონვას. თუ დაიმსახურებდა, მიცვალებულისთვის საიქიო ცხოვრების კარი ღია იყო, თუ არა„ სულთა მსვლეპვი” იქვე შესანსლავდა ცოდვილ და უბედურ სულს… მოგვიანებით, სიცოცხლის შემდგომ სულის „ბინადრობაზე“ შეხედულებები შეიცვალა, თუმცა დღემდე აზრთა, არგუმენტთა და მტკიცებულებათა დიდი სხვადასხვაობა არსებობს… ცნობილი ფაქტია ამპუტირებული კიდურების შეგრძნების მახსოვრობა,. როცა ადამიანს ფაქტიურად მოკვეთილი აქვს ხელი ან ფეხი, მაგრამ შენარჩუნებული აქვს მათი შეგრძნების უნარი. ერთ-ერთი მკვლევარის დასკვნით, სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება ადამიანის აზროვნება იმ მომენტიდან, როცა სხეულს დატოვებს და სული წაიყვანს იმ ადგილამდე, რომელიც მას განესაზღვრა იმის გამო, რაც მისმა პატრონმა დაიმსახურა, სხეულში ყოფნის პერიოდში მოღვაწეობის შედეგად. ხოლო დანიშნულების ადგილზე მისვლითა და კუთვნილი ადგილის მიღების შემდეგ კი, აზროვნება იმოსება ადამიანური თვალთახედვისათვის უჩინარი გარსით და აგრძელებს იმ ქვეყნიურ ცხოვრებას — შენარჩუნებული ადამიანური შეგრძნებების განუშორებლად. რატომღაც გვწამს, რომ სამოთხეში მოხვედრა ბედნიერებაა და ჯოჯოხეთში მოხვედრა კი უბედურება. რაც შეეხება იმას, რასაც სინამდვილეში შეესაბამება ქვეყანა „სამოთხე“ და ქვეყანა „ჯოჯოხეთი“- გარდაცვალების შემდეგ წასულები, ჯერ იქ არ მოხვედრილან! არამედ იმყოფებიან მათ კარიბჭეებთან და ელოდებიან „არმაგედონის“ შედეგებს. „სამოთხეში“ იყო მხოლოდ ქრისტე — როგორც ამას ბიბლიაც ადასტურებს: „არავინ ასულა ცაში, გარდა ციდან ჩამოსული კაცის ძისა“ (იოანე 3–13). „ხილული“ და „უხილავი“ — ეს დაყოფა ადამიანური თვალზომისთვისაა; თორემ ეს სამყარო მთლიანობაა და ის „უხილავიც“ ისეთივე რეალურია, როგორიც „ხილული“. ამიტომ ადამიანური სიცოცხლეც აგრძელებს არსებობას გარდაცვალების შემდეგ — ოღონდ დედამიწური ფორმით არა. რადგანაც მართალია მას შეგრძნებანი კი აქვს შენარჩუნებული; მაგრამ სამოქმედო აპარატი — სხეული კი აღარა აქვს საიმისოდ, რომ საქმით შესძლოს დედამიწაზე დაშვებული იმ შეცდომების გამოსწორება, რომელთა გამოც კარიბჭეში გაიჭედა. იქ კი მათ შეუძლიათ მხოლოდ სინანული და არა მონანიება! ვინაიდან სამყაროს კანონთა თანახმად, მონანიების მოთხოვნა ასეთია: „საქმით უნდა გამართლდეს ადამიანი!“ (იაკობი 2–24). „სამოთხისა“ და „ჯოჯოხეთის“ კარიბჭეებს შორის, განსხვავებული მდგომარეობა სუფევს. “სამოთხის“ კარიბჭეში მყოფნი განიცდიან დიდ სინანულს, ჩადენილი შეცდომების გამო. მათ სამყაროს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ იმის უფლება, რომ ფიქრისმიერი ლოცვის ძალის მეშვეობით დახმარება გაუწიონ დატოვებულ შთამომავალთ სწორი გზის საპოვნელად იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი მის მიღებას დაიმსახურებენ თავიანთი ცხოვრებისეული მოღვაწეობის შედეგად. ასეთ დახმარებები რომ ნამდვილად არსებობენ, ამის მიხვედრის შემძლეობის უნარი მიცემული აქვთ ადამიანებს; და თუკი სათანადოდ იქნება გაანალიზებული ცხოვრებაში მომხდარი ისეთი ფაქტები, როცა უბედური შემთხვევის არიდება შეუცნობლად ხდება, ანდა საამისოდ სიზმრით გაფრთხილებას აქვს ადგილი. .

რაც შეეხება ჯოჯოხეთის კარიბჭეში მოხვედრილებს, ისინი უკვე თავად განიცდიან იმ სატანჯველებს, რომლებიც მათ სხვებს მიაყენეს დედამიწაზე ცხოვრების პერიოდში. ამ ტანჯვის გაუსაძლისობის გამო, ისინი ყოველნაირად ცდილობენ მისგან თავის დახსნას. რისთვისაც იყენებენ მათში მოჭარბებულ ანგარების გრძნობას და მისი მეშვეობით დედამიწაზე დარჩენილ გენურ მემკვიდრეებს სწვდებიან საიმისოდ, რომ ეს სატანჯველი მათ ატვირთებიონ. ასე რომ, ვისაც ახარებთ ის, რომ წინაპართაგან დატოვებული მატერიალური ქონება მემკვიდრეობით ერგოთ; სინამდვილეში იმ ნაღმზე ზიან, რომელიც სადაცაა აფეთქდება. ნამდვილი „სამოთხისა“ და „ჯოჯოხეთის“ მკვლევარების ერთი ჯგუფის აზრით, „იქ“ მოხვედრა, მხოლოდ „არმაგედონის“ შემდგომი პერიოდისათვის გახდება შესაძლებელი. მას თავისი მოთხოვნებიც აქვს დადგენილი და მათ შესასრულებლად დადგენილი დროც. ამ მოთხოვნათა შესრულებაში კი, მეტად მნიშვნელოვანი წილი ganეკუთვნება არმაგედონულ წმენდაგავლილ დედამიწელ ადამიანთა როლს.. სიკვდილის გარდაუვალობა იქმნება მაშინ, როცა პიროვნებისათვის (ან მშობლისათვის) ინდივიდუალურად დაშვებული ცოდვების ჩადენის ზღვარი აღივსება. რაც შეეხება ზღვარს, ის (7 X 144000)-ჯერ სამყაროს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა არის, ან მისი ტოლფასი ტყუილის თქმა. რა თქმა უნდა, ასეთი ზღვრის ავსებას ადამიანის ერთი სიცოცხლის პერიოდი არ ეყოფა და ამიტომაც გაითვალა იგი საკაცობრიო გენეტიკურ მსვლელობად. რომლის პროცესიც მიმდინარეობს მემკვიდრული გენის შთამომავლობით გადაცემით — იმგვარად, რომ ვინც როდის და რომელი ცოდვის ზღვრული რიცხვის შემსრულებელი გახდება, მას მაშინვე სიკვდილი სტუმრობს; რის გამომწვევ უშუალო მიზეზსაც, ჩადენილ ცოდვათა კატეგორია განსაზღვრავს. თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს ცოდვათა ზღვრის ავსებასთან მიახლოებასაც. სხვანაირად რომ ვთქვა: სიკდილის წინმსწრებ პერიოდს; და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სინამდვილე ასეთია: რომ სიკვდილსაც აქვს მახასიათებელი იერ-სახეობა. თუმცა ადამიანური თვალთახედვა ვერ ამჩნევს მას. გარდა ჩვილი ბავშვებისა და იმისა, ვისაც ეს უნარი ენიჭება იმის გამო, რომ გონიერად იქნა შეფასებული ღმერთის საზომის მიერ. ამ ცნობების გაცნობის შემდეგ, ვფიქრობ, რომ ადამიანს უნდა გაუჩნდეს ასეთი კითხვა: შეიძლება გამოწვეული სიკვდილის უკან გაბრუნება? პასუხი ასეთია: დიახ, შეიძლება! საამისოდ საჭიროა სასწრაფოდ შეცნობა იმისა, თუ რა არის სამყაროს კანონებით მიჩნეული სწორად და რა არასწორად. შემდეგ ამ ცოდნის გამოყენებით, საკუთარი შეცდომების მოძიება და მათი საქმით მონანიება!



სიკვდილიც, რომ არსებობს და სიცოცხლეც ფაქტია, მაგრამ არმაგედონამდე თუ ჯოჯოხეთის და სამოთხის მგზავრებს კარიბჭესთან უწევთ ლოდინი ნამდვილად არ ვიცოდი, არადა ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?















(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

იგივე ითქმის ჩანთაზე, რომელიც მეორდება სხვა და სხვა უძველეს კულტურებში. მეცნიერებს სხვა აღარაფერი შეუძლიათ ივადაუდონ გარდა ერთისა, რომ მათ შორის იყო კომუნიკაციები და ჰყავდათ (ჰქონდათ) ერთი წყარო.

შუმერული ტექსტების მიხედვით, ამ ჩანთაში იდო სიცოცხლის თესლი, რომელმაც კვლავ წარმოქმნა სიცოცხლე წარღვნის შემდეგ. იგი უკავია **ENKI**-ის შვილს (ბიბიცალ **NOAN**), ბიბლიურ ნოეს. ეს გამოსახულება გაკეთდა წარღვნის შემდეგ, რომელიც ღვთაება ენლილმა (ბიბლიცალ **YAWH**) მოაწყო, რათა მოესპო კაცობრიობა...

ეგვიპტე, ამერიკის ორივე კონტინენტი, მესოპოტამია... სიმბოლიკა კი წვრილმანებამდე ემთხვევა — იდუმალი ჩანთა უკავიათ ღვთაებებს აბსოლუტურად სხვა და სხვა ცივილიზაციებში.

ასევე უცნაურია კიდევ ერთი ნივთი, რომელიც ფორმითა და სხეულზე ადგილ-მდებარეობით ძალიან წააგავს თანამედროვე მაჯის საათს.

დათარიღების მიხედვით, ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულში გაზომა ადამიანმა დრო გნომონის გამოგონებით. ეს იყო ჰორიზონტალურ სადგამზე ვერტიკალურად ჩარჭობილი ჯოხი, რომლის სიგრძე და მიმართულება მერიდიანის მიმართ მზის სიმაღლესა და მდგომარეობაზე მიუთითებდა, რაც განსაზღვრავდა დროს. ვთქვათ, შუადღეს შეესაბამებოდა ჩრდილის უმოკლესი სიგრძე...

ამავე პრინციპზე იყო დამყარებული მზის საათი, რომელსაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაყოფებიანი წრე-ციფერბლატი ჰქონდა. დღის განმავლობაში მზის ჩრდილი ეცემოდა ციფერბლატს და წრეზე მოძრაობდა.

ძველი შუმერული წერილობითი ჩანაწერების ტაბლო ასე გაიშიფრა:

მას შემდეგ, რაც ცა გამოეყო მიწას;

მას შემდეგ, რაც ადამიანს ეწოდა სახელი;

მას შემდეგ, რაც ანი (ცის ღმერთი) ავიდა ცაში;

მას შემდეგ, რაც ენლილი (ჰაერის ღმერთი) დაეშვა მიწაზე...

ამის შემდეგ ჩნდებიან ანუნაკები როგორც მცირე ღმერთები. ჟოზეფ ბაურმა გამოაქვეყნა ძველი შუმერული ბარელიეფის საინტერესო ფოტოები სადაც გამოსახულებების ხელებზე მოჩანს სწორედ ის, რაც ძალიან მოგვაგონებს მაჯის საათს. კი, ბატონო, მოგვაგონებს, მაგრამ ვინ არიან გამოსახულები ბარელიეფზე, რომელიც შექმნილია III–IV საუკუნეებში ჩვ.წ. აღ-მდე, ძველი შუმერის მმართველები და მცხოვრებლები თუ იდუმალი ანუნაკები, რომლებსაც შუმერები აღმერთებდნენ?

### ციდან მოსულები

აღდგომის კუნძულელების ლეგენდა პირდაპირ ამბობს, რომ უზარმაზარი ქვის კაცები (კოლხური თავსაბურავით) ზეციდან ჩამოსულმა ღმერთებმა ააგეს — საუბარი აღარ არის მნათობთა და ღმერთების შთამომავლებზე, რადგან ყველა შემთხვევაში „ციდან მოსულებთან“ მივდივართ.

ზოგი მკვლევარი იშველიებს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, ეგვიპტის პირამიდებს, აღდგომის კუნძულის ქანადაკებებს, ნასკას ხაზებს, ბიბლიის აპოკრიფულ ტექსტებს და ამტკიცებს, რომ ქანდაკებების გამოსაკვეთად კუნძულის ხალხს უცხოპლანეტელებმა უსახსოვრეს სამუშაო იარაღები, თუმცა ვერ ხსნიან, რატომ დატოვეს კუნძული „ციდან მოსულმა კეთილისმყოფელებმა“.

მთვარიდან მოსული, ღრუბლებში მცხოვრები, ვარსკვლავიდან ჩამოვარდნილი, მზიდან ცეცხლის ჩამომტანი — ყველანი ციდან მოდიან...

ამერიკელი უფოლოგები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ „ანუნაკისგან“, რომელთაც ცოდნა გადასცეს ძველ შუმერებს, რომლებიც 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ და ყველაფრის შესახებ ფლობდნენ ამომწურავ ინფორმაციას — „ანუნაკი“ ანუ „ციდან დაშვებული“.

კი, მაგრამ ვინ იყვნენ ის „ციდან მოსულები“ ან რატომ დაუდგნენ დედამიწელებს „მასწავლებლებად“, ასწავლიდნენ მათ მეტალურგიას, მშენებლობას, მიწათმოქმედებას და ა.შ ზოგადად კი, მატერიალურის შექმნის თანმდევად სულიერებას?

(გაგრძელება იქნება)







ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს წევრი და განათლების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურის მკვლევარი თემურ ქორიძე.

თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

# თემურ ქორიძის ხსოვნას

ვერ წარმოვიდგენდი, თემურ ქორიძის გამოსათხოვარს ჩემი ხელით თუ დავწერდი.

როცა ცოცხლები ვართ, არავინ ვფიქრობთ სიკვდილზე, მარადიული სიცოცხლის შეგრძნება ღმერთის საჩუქარია და ალბათ, იმიტომაც.

რამდენიმე თვეა ბატონი თემური არ მინახავს.

მისი ხასიათის მართლაც პატივსაცემი თვისებების და შინაგანი კულტურის მიხედვით, ძალიან თავმდაბალი იყო და უბრალოდ, თემურს ვეძახდი.

მომწონდა მისი ღრმა ერუდიცია, მისი ხელით გაკეთებული „ბორში“...

ვიჯექით და ვსაუბრობდით, გლდანში, მის მოკრძალებულ სახლში, სადაც ავეჯზე მეტი წიგნია...

ყოველთვის მიჭირდა მიგნება — მეშვიდე მიკრორაიონში, რომელიღაც კორპუსში...

— მეტროდან გამოყევი 210-ს 210-ს! — ღიმილით მიმეორებდა ხოლმე...

მერე გვიან, ღამე, გამომაცილებდა გაჩერებამდე. მესაუბრებოდა დამაჯერებლად და გულდასმით, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვყოფილიყავით შეზრდილი...

ახლახან გავიგე, თავის დროზე თემურ ქორიძისთვის გადაცემული შესანიშნავი ბინა ქალაქის ცენტრში გაჭირვებულისთვის თვითონვე უჩუქნია.

ბევრ მაცდურ თანამდებობრივ შეთავაზებასა და წინადადებაზე უთქვამს უარი...

არადა, ბოლო ხანებში როგორ უჭირდა ეკონომიურად...

ბრწყინვალე ორატორი იყო.

შთამბეჭდავი ნიჭის წყალობით, ქართული ეროვნული სულის გამოუხატავ სათქმელს ამბობდა და მამულიშვილებს გულში ცეცხლს უღვივებდა...

ის იყო დიდებული ადამიანი. ადამიანი, რომელიც არ ჩანს, იმიტომ, რომ თვითონ არ გეტყვის მომაქციე ყურადღებაო, არ იყვირებს, თვალში არ შეგეჩხირება, შენ უნდა მოძებნო, უნდა ჰკითხო, უნდა ისწავლო, თუ გინდა, რომ იცოდე!..

სადღაც წავიკითხე, „გინდა ამ ქვეყნიდან გასულხარ და გინდა ოთახის კარი გამოგიღიაო“.

თემურ ქორიძე „სხვა ოთახში“ გადავიდა.

წავიდა დაუფასებელი დღევანდელ არეულ და აღრეულ საზოგადოებაში, რადგან აქ ღირსეული პიროვნებების ადგილი აღარ დარჩა — ფსევდოღირებულებებსა და მახინჯ ფასეულობებს აქვთ გაშლილი მოედანი და წამლეკავ ტალღად ეფინებიან ქართულ ცნობიერებას.

კიდევ ერთი კარგი მამულიშვილი დავკარგეთ, ქართველებო!

ყველას გისამძიმრებთ!

ირანდა კალანდაძე

# დიდება შენს ხსოვნას, ჩვენო ძმაო და მეგობარო!

სრულიად საქართველოს, ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს ვუსამძიმრებთ ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილი და უერთგულესი წარმომადგენლის, საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრის თემურ ქორიძის გარდაცვალებას. ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელად, უანგაროდ იღვწოდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და თანამებრძოლო, ჩვენს გულში ანთებული სანთლები გაგინათებენ გზას ცათა სასუფეველში. ქართველმა ერმა სამართლიანად აღგიქვათ საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგულ ჯარისკაცად, მისი იდეებისათვის მებრძოლ თავგანწირულ რაინდად!

ეროვნული კანონიერი ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა გარდაუვალია! რაოდენ გულსატკენია, რომ ისეთი თავდადებული ადამიანი, ვინც მთელი ცხოვრება იღვაწა კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის, ამ დღეს ვერ მოესწრება...

გულით ვუსამძიმრებთ თემურ ქორიძის ოჯახს, ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილსა და სრულიად საქართველოს!

ჩვენო დიდებულო ადამიანო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ჩვენი სამშობლოს ღვთივკურთხეული მიწა!..

უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა სახელით,

ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური!
მართა სავანელი, დავით ჯანდიერი,
ლაშა გამსახურდია, ლევან ზაალიშვილი, ზაზა ჟორდანია,
ლიკა გერგედავა, ნაილი ხომერიკი, ლელა ჭინჭარაული,
სალომე მჭედლური, სანდრო მარიამიძე, ლექსო ყამარაული.



# „საით წავიდეთ, ევროპისკენ თუ ევრაზიისკენ? – საკითხავი, აი, ეს არის!“

ნაწყვეტი ინტერვიუდან

„უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება იმედგაცრუების მდგომარეობაში პირველად არ დგას, ასე იყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნის 10-ან წლებში. გაოგნებული ვარ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსების განცხადებებით, რომ 15 წელი ლაპარაკობენ იმაზე, რომ დასავლეთი საქართველოს კარს არ გაუღებს და ა.შ. 15 წელი კი არა, 150 წლის წინათ იყო ამ თემებზე სერიოზული მსჯელობები საქართველოში. საჭიროა მხოლოდ წავიკითხოთ ეს დასკვნები და გარდა საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისა, სხვასაც დავეკითხოთ რჩევა. განსაკუთრებით ჩვენ წინაპრებს, ჩვენ წინამორბედებს, რომლებსაც ამაზე უფიქრიათ და გაცილებით ჯანსაღი დასკვნები გამოუტანიათ.

მე-19 საუკუნეში ევროპული კრიტიციზმის ერთ-ერთი პირველი დამწყები საქართველოში იყო ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც პირველად უწოდა ქართველ ერს ობოლი, მან ევროპას პირდაპირ თითი დაუქნია, მოგეკითხებათ იმის გამო, რაც ქრისტიანი ქართველების წინაშე ჩაიდინეთო — მიგვატოვეს რელიგიურ ბრძოლასა და ღირებულებათა ქარტეხილში, მარტო მიგვატოვეს და ერთხელაც არ უფიქრიათ, გვერდით დაგვდგომოდნენ!

ჩვენთან მეტ-ნაკლები აქტიურობით თავს იჩენდა სერიოზული მისწრაფება სამყაროში ჩვენი ადგილის შესახებ მკაფიო წარმოდგენის ჩამოყალიბების თაობაზე. ეს თემა არ ყოფილა უცხო ქართველი საზოგადოებისთვის და მთელი უბედურება ის არის, რომ დღეს, ჩვენი დამოუკიდებლობის თითქმის მეოთხედი საუკუნის კვირაძალზე ერთხელაც არ გვიცდია დავბრუნებოდით ამ თემას, გვეფიქრა ჩვენს ადგილზე თანამედროვე სამყაროში. გვეფიქრა, სად არის საქართველოსთვის ნავსაყუდელში, რომელ გაერთიანებაში? ვიმეორებ, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც იდგა ასე საკითხი: ევროპისკენ თუ აზიისკენ?

ვახტანგ კოტეტიშვილს აქვს ვრცელი, ჩინებული პუბლიცისტური ნაშრომი „აზიისკენ“. მიდიოდა სერიოზული მსჯელობანი, რათა განსაზღვრულიყო ქართველი ერის ფუნქცია ახალ გარემოში.

* * *

სამწუხაროდ, ჩვენსა და ევროპას შორის დღეს ისეთი განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ეს ფაქტია. თუ ამას ვინმე არ ეთანხმება, შეგვიძლია ფართო დისკუსია გავმართოთ. მე ამას იმ გაგებით არ ვამბობ, კარგია ევროპელობა თუ ცუდი. ვამბობ, რომ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობა არის ევროპულობის ანტიპოდი.

პირველმა, ვინც გაილაშქრა ყოველივე ამის, ამ დეგრადაციის, ამ კრიზისის და ამ დეკადანსის წინააღმდეგ, თვითონ ევროპელი იყო. არავის ისე სასტიკად, ისე ღრმად, ისე ინტელექტუალურად არ გაულაშქრია ევროპული კრიზისის წინააღმდეგ, როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს ევროპელმა განმანათლებლებმა.

* * *

ტრაგედია იმაში კი არ არის, რომ ევროპაში დღეს კრიზისი და დეგრადაციაა, ჩვენი ტრაგედია არის ის, რომ ქართული პოლიტიკის სადავეებთან მოექცნენ აბსოლუტურად გაფუჭებული ადამიანები. პირველი მათი მინუსია სრული უპრინციპობა, მეორე- სრული უმეცრება. ეს ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს.

* * *

ჩვენ ვართ ქართველები, კარგი ადამიანები, ქრისტიანები. ჩვენ ვართ აღმოსავლეთი, ჩვენ არ ვართ დასავლეთი. ეს უნდა გავიგოთ. არ არის სათაკილო აღმოსავლეთელობა.

კულტურა, რომელიც რატომღაც დასავლეთის კულტურად მიაჩნიათ, თუნდაც ევროპასთან დამაკავშირებელი ქრისტიანული რელიგია, აღმოსავლურია. ყველაფერი, რითაც ევროპა სულდგმულობს, აღმოსავლური გახლავთ.

ჩვენ აღმოსავლეთი ვართ, ნუ დაგვავიწყდება, რაც დასავლეთმა თავის დროზე ლევ ტოლსტოის პირით, სხვათა შორის, საქართველოს მაგალითზე აღიარა. ჩვენ ვიცოდით, რომ აღმოსავლეთიდან ამოდიოდა მზე, მაგრამ ახლა ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ზნეობის მზეც აღმოსავლეთიდან ამოდის“.

„საერთო გაზეთი“
2013, 19 სექტემბერი, №34

# მილიარდერები, რომლებიც გაკოტრდნენ

**ცხოვრებაში ადამიანები ბევრ რამეს კარგავენ, მაგრამ ფულადი დანაკარგები ყველაზე მნიშვნელოვანია. დედამიწაზე ორი ათასზე მეტი მილიარდერი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მათ წარმატებას მიაღწიეს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წარუმატებლობისგან დაცულები არიან. გთავაზობთ იმ ადამიანთა ნუსხას, რომლებმა მოკლე დროში უზარმაზარი თანხები დაკარგეს.**



**მარტა სტიუარტი**. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი. ყოფილი მოდელი, რომელმაც მედიაიმპერია ნულიდან დაიწყო. საერთოდ, ყოფილი მილარდერები ციხეში ქონების დაკარგვის შემდეგ ხვდებიან, მარტა კი მილიარდერი სწორედ ციხეში გახდა, როცა მისი აქციების ფასი 90%-ით გაიზარდა. 2005 წელს მან ხუთთვიანი სასჯელი მოიხადა ინსაიდერული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებისთვის. მილიარდერის სტატუსი მარტამ რამდენიმე კვირაში დაკარგა. ამჟამად წარმატებული მეწარმეა, მაგრამ ძველ სიმაღლეებს ჯერ ვერ მიაღწია.

**რობერტ ჯონსონი**. რობერტ, იგივე ბობ ჯონსონი, დარეგისტრირებული იყო, როგორც პირველი აფროამერიკელი მილიარდერი. იგი საკაბელო ტელევიზიის **BET**-ის დამფუძნებელია და დიდი ფული იშოვნა, როცა არხი მედიაკონგლომერატ **Viacom**-ს მიჰყიდა. რამდენიმე წლის შემდეგ, განქორწინების შედეგად, მან თავისი 1,2 მლრდ დოლარის ნახევარი დაკარგა. ჯონსონმა გადაწყვიტა, დაებრუნებინა თავისი ფული, მაგრამ 2007 წელს ბაზრის ჩამოშლის, განქორწინებისა და ცვალებადი სამეწარმეო გარემოს გამო იგი ველარ გამდიდრდა. მასზე ღატაკი არ ითქმის, მიუხედავად იმისა,



რომ მან იმაზე მეტი ფული დაკარგა, ვიდრე აქვს.

**ფრენკ ლევინსონი**. ინვესტორი და მეწარმე, ასევე **Small World Group**-ის კომპანიის ჯგუფის დამაარსებელი. ფრენკი თავის დროზე მილარდერთა სიაში მოხვდა კომპანია **Finsar Corporation**-ის წყალობით, რომელიც ჯერი როულსთან ერთად დააარსა. კომპანია ნეტვორკინგით იყო დაკავებული და ინფორმაციის ბაზას ფლობდა. ამან ფრენკს 2000 წელს 2 მლრდ დოლარი მოუტანა. მიუხედავად ამისა, კომპანიის ფასი მალე დაეცა და განქორწინებამაც სერიოზული დარტყმა მიაყენა მის ფინანსებს. იგი მილიონერია, აქვს ფიზიკის ბაკალავრის ხარისხი და დაცული აქვს დისერტაცია ასტრონომიაში.

**ბობი რეი ჯონსონ-უმცროსი**. ყოფილი პროგრამისტი, ამერიკელი მეწარმე და კომპანია **Centillion Networks**-ის დამაარსებელი, რომელიც მან 1995 წელს **Bay Networks**-ს მთლიანად მიჰყიდა 1 მლრდ დოლარად. 1999 წელს კომპანია განთავსდა ბირჟაზე და მისი აქციები 525%-ით გაძვირდა. ბობი რეის ქონება 2,3 მლრდ დოლარად შეფასდა. მან მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ამერიკელებს შორის. ამის მიუხედავად, მალევე აქციების ფასი 90%-ით დაეცა და ბობი რეიმ მილიარდერის სტატუსი დაკარგა. ამჟამად იგი მილიონერია.

**თომას ფრიდმანი**. **New York Times**-ის ცნობილი კოლუმნისტი, რომელსაც არასოდეს ეშინოდა საკუთარი აზრის გამოხატვა სამუშაო ადგილების, ეკონომიკისა და ვაჭრობის მდგომარეობის, ერაყისა და სხვა ომების შესახებ. სხვა მილიარდერებისგან განსხვავებით, რომლებმაც ქონება საკუთარი ძალისხმევით შეიძინეს, ან მემკვიდრეობით მიიღეს, ფრიდმანმა ფული სარფიანი ქორწინების წყალობით მოიპოვა. მის ცოლი ენ ბაკსბაუმი **General Growth Properties**-ის, უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდის მფლობელის, მემკვიდრე გახლდათ, ქონება 3,6, მლრდ დოლარს შეადგენდა. უძრავი ქონების სფეროში კრიზისის გამო ფონდის ღირებულება 25 მილიონ დოლარამდე დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ თომას ფრიდმანს მილიარდერის სტატუსის მიმართ სასხვათაშორისო დამოკიდებულება აქვს, დანაკარგი მასზეც აისახა და ამ სტატუსისგან მოგონებებიღა დარჩა.

**სანჯივ სიდხუ**. ინდური წარმომავლობის ამერიკელი მეწარმე, ასევე კომპანია **o9 Solutions**-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რომელიც ბიზნეს-დაგეგმვის ფინანსური უზრუნველყოფით იყო დაკავებული. სანჯივმა ქონება დააგროვა, როგორც i2 **Technologies**-ის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა, რომელიც ამუშავებდა წარმოება-გასაღების ციკლის მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას. კომპანია სიდხუმ 1988 წელს შექმნა, 2000 წლისთვის მისი საბირჟო ღირებულება 850%-ით, ხოლო მისი ქონება 10 მლრდ დოლარით გაიზარდა. 2001 წელს აქციების ფასი დაეცა, სანჯივმა 9 მლრდ დოლარი დაკარგა და მილიონერად იქცა.

**ბარბარა დევისი**. მარვინ დევისის ქვრივი, რომელმაც დააარსა **Davis Petroleum** და ერთ დროს **20th Cenruty Fox**-ის მფლობელიც იყო. მარვინ დევისის გარდაცვალების შემდეგ, 2004 წელს, ჟურნალმა „ფორბსმა" მისი ქონება, რომელიც მის ქვრივსა და შვი-



ლებს დარჩათ, 5,8 მლრდ დოლარად შეაფასა. რამდენიმე ხნის შემდეგ კომპანია გაკოტრდა. ოჯახს სერიოზული პრობლემები შეექმნა, ბიზნესი გრეგ დევისმა 150 მილიონად გაყიდა, თუმცა მისი რეალური ფასი მილიარდი მაინც იყო. ბარბარამ რამდენიმე მილიარდი დოლარი დაკარგა.

**სემ უაილი**. დალასელი ბიზნესმენი, რომელიც ათასობით ადამიანს უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილებით და მილიარდიანი ქონება დააგროვა იმ ადამიანების წყალობით, ვინც მის სარესტორნო ბიზნესში, საცალო ვაჭრობასა და კომპიუტერულ კომპანიებში დებდა თანხებს. თავის ძმასთან ერთად იგი ფერმერულ მეურნეობებს და სახლებს იძენდა ასპენში, აარსებდა ოფშორულ ფონდებს და უზარმაზარ თანხებს გასცემდა ქველმოქმედებისთვის. წარმატების პიკზე მყოფი უაილის ქონება „ფორბსმა" 1,1 მლრდ დოლარად შეაფასა. დღეისათვის სემ უაილი ბანკროტია და აშშ-ის საგადასახადო სამმართველო გადასახადების გადაუხდელობის გამო ეძებს. განქორწინების შემდეგ ცოლისთვის მისაცემი თანხაც საკმაოდ დიდია.

**შონ ქუინი**. 2008 წელს ირლანდიაში ყველაზე მდიდარი ადამიანი




რობერტ ალენ სტენფორდი.

იყო. მისი ქონება 6 მლრდ დოლარად იყო შეფასებული. ამ წარმატებულმა ბიზნესმენმა არასწორი ნაბიჯი გადადგა, როცა **Anglo Irish Bank**-იდან აიღო სესხი, რომელიც მისი ქონების მეოთხედს შეადგენდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ შონს ბანკის მილიარდობით ვალები დაედო და მთელი ქონება დაკარგა.

**ანტონ შეკლერი**. გერმანიაში ცნობილი პერსონა – ფლობდა საავთიაქო ქსელს Schlecker. მისი აფთიაქების ქსელის ბრუნვამ 10,3 მლრდ დოლარი შეადგინა, რამაც იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად აქცია. შეკლერმა ევროპაში 13 000 აფთიაქი გახსნა და სამუშაოთი უზრუნველყო 52 000 ადამიანი. მისმა ბიზნეს-იმპერიამ ვერ გაუძლო კონკურენციას და 2012 წელს ანტონმა თავი ბანკროტად გამოაცხადა.

**ბიერგოლფურ ჰუდმუნდსონი**. ეს ადამიანი ისლანდიაში ცნობილი ბიზნესმენი იყო. მისი ქონება 1,1 მლრდ დოლარს შეადგენდა. ეს ყოფილი ფეხბურთელი და **Landsbanki**-ს მთავარი აქციონერი „ფორბსის" რეიტინგის მიხედვით მსოფლიოში 1014-ე ადგილზე იყო. მიუხედავად ამისა, ჰუდმუნდსონმა მალე დაკარგა ყველაფერი ვალების გამო და 2009 წელს ბანკროტად გამოაცხადა თავი.

**ადოლფ მერკლე**. აწ განსვენებულ ადოლფ მერკლეს გერმანიის ყველაზე მდიდარ ადამიანთა შორის მეხუთე დაგილი ეკავა და მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა. 2008 წელს მისი ქონება 9,2 მლრდ დოლარს შეადგენდა. იგი სარისკო ბიზნეს-გადაწყვეტილებებს იღებდა, რომლებმაც გაკოტრებამდე მიიყვანა. 2009 წელს 74 წლის მერკლემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

**რობერტ ალენ სტენფორდი**. ოდესღაც იგი მილიარდერი იყო, ახლა კი მას შეძლებულ ადამიანსაც კი ვერ უწოდებ. სტენფორდი ორი ქვეყნის – აშშ-სა და ანტიგუას მოქალაქეა და ამის წყალობით მას შეეძლო ორივე ქვეყნის პოლიტიკოსებისთვის დაეჭირა მხარი. 2012 წელს მისი ქონება 2 მლრდ დოლარს შეადგენდა, თუმცა, მან ყველაფერი დაკარგა, როცა გაირკვა, რომ მან ფინანსური პირამიდა შექმნა. მას 110 წელი მიესაჯა „თაღლითობისა და ფულის გათეთრებისთვის".

**ეიკე ბატისტა**. ბრაზილიელი მეწარმე, რომელიც ბრაზილიაში ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო და 2012 წლისთვის მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის მეშვიდე ადგილი ეკავა. ქონება, რომელიც მან დააგროვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით, ფანტასტიკურ ნიშნულს მიაღწია – 30 მლრდ დოლარი. თუმცა, 2013 წელს მისი ქონებიდან 200 მილიონი დარჩა, 2014 წლისთვის კი მინუსებში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბრაზილიური კონგლომერატის **EBX Group**-ის თავმჯდომარეა, მისი ქონება უარყოფითია და მინუს 1 მლრდ დოლარს შეადგენს.

**ალბერტო ვილარი**. ყოფილი ამერიკელი მილიარდერი. ცნობილია ოპერის, ხელოვნებისა და განათლების სფეროში. 1979 წელს მან და მისმა მეგობარმა ჰერი ტანაკამ დააარსეს საინვესტიციო ფირმა **Amerindo Investment Advisors**, 2001 წლისთვის მისი ქონება 1 მლრდ დოლარზე მეტს შეადგენდა. ვილარიმ მთელი ქონება დაკარგა. ამჟამად იგი სასჯელს იხდის თაღლითობისთვის და ფულის გათეთრებისთვის – მან



დაკარგა ქონება, თავისუფლება და იმ ადამიანების ნდობა, ვისაც მისი სჯეროდა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

ISSN 2233-3983

9 772233 398001

**იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39.**
**E-mail: asavaliprint@yahoo.com**

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**